1978/2
ეროვნული ბიბლიოთეკა




# საქართველოს ქალი

ივლისი
№ 7 1978 წ.

## პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისი, 1978 წლის 28 ივნისი. საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის სხდომა.

ფოტო ვლ. გინზბურგის

«საქართველოს ქალი»
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии



## ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის სესიაზე

# მსოფლიოს ქალთა სადღეისო ამოცანები

მიმდინარე წლის 15-19 მაისს მოსკოვში გაიმართა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის სესია, რომლის მუშაობაშიც მსოფლიოს ყველა კონტინენტის ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

სესიას გულთბილად მიესალმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი.

მომხსენებლებმა — ფედერაციის პრეზიდენტმა ფრიდა ბრაუნმა და გენერალურმა მდივანმა ფანი ედელმანმა, ასევე სესიის სხვა მონაწილეებმა ილაპარაკეს გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის მიერ ორი უდიდესი მნიშვნელობის ღონისძიების: „ქალის საერთაშორისო წელიწადის" და ქალთა თანასწორობის, განვითარების, მშვიდობისათვის საერთაშორისო მოქმედების ათწლიანი გეგმის (პირველი მეოთხედის) განხორციელებისათვის ბრძოლის შედეგებზე.

სესიამ მიმოიხილა მსოფლიოს ქალთა ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების საკითხები, გააანალიზა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის საქმიანობა მისი VII კონგრესიდან — დღემდე და დასახა ახალი ამოცანები.

„1975 წელმა, — აღნიშნა ფრიდა ბრაუნმა, — მკვეთრად ასახა ჩვენი სინამდვილე, მან დაგვანახა შედეგები მილიონობით ქალთა მისწრაფებებისა უკეთესი ცხოვრების, თანასწორობის მოსაპოვებლად, — მისწრაფებებისა, რომლებიც გამოვლინდა მათი უფრო ფართო მონაწილეობით, ძირითადი დემოკრატიული გარდაქმნებისათვის ბრძოლაში.

ქალის საერთაშორისო წელიწადმა გაამახვილა საზოგადოების ყურადღება მეტად მტკივნეულ პრობლემებზე, გამოავლინა ფართული სოციალური ძალები, რომლებიც აუცილებლად უნდა მონაწილეობდნენ ქალთა ცხოვრების გარდაქმნაში.

1975 წელმა გვიჩვენა რომ კაცობრიობის წინაშე მდგარი, რთული სოციალ-ეკონომიური პრობლემების გადაჭრა შეუძლებელია ქალთა მონაწილეობის გარეშე თუ გინდ იმიტომ, რომ მსოფლიოს მატერიალური კეთილდღეობის ერთი მესამედის მწარმოებლები ქალები არიან.

დადგა დრო, როდესაც ქალთა ორგანიზაციები და ყველა დემოკრატიული ძალები უნდა გაერთიანდნენ, ქალის უნარისა და შესაძლებლობათა განვითარების ხელისშემშლელი წინააღმდეგობების დასაძლევად, რაც, ამავე დროს, ორგანიულად ერწყმის დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის ერთობლივ ბრძოლას.

1975 წლიდან განვლილი დრო მეტად მცირეა, ქალთა დისკრიმინაციის ხანგრძლივ ისტორიასთან შედარებით. ასე სწრაფად და ადვილად ვერ წაიშლება მოძველებული წეს-ჩვევებისა და ტრადიციებისგან დატოვებული ღრმა კვალი როგორც მამაკაცთა, ისე ქალთა შეგნებაში, მაგრამ შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნულ მცირე დროშიც გვაქვს მიღწევები ამ მიმართულებით — ზოგან მნიშვნელოვანი, ზოგან მცირე ან ოდნავ შესამჩნევიც, მაგრამ იმის დამადასტურებელი, რომ იბადება ახალი შეხედულებები, იცვლება ადამიანთა მსოფლმხედველობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალის საერთაშორისო წელიწადის შემდეგ, რიგმა სახელმწიფოებმა მიიღეს ახალი კანონები, კერძოდ, სა-



კ. მარქსის ... სახ. სსრ



ოჯახო კანონმდებლობაში, ანდა შეიტანეს შესწორებები, რაც მიმართულია ქალთა დღემდე არსებული იურიდიული მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ.

მაგალითად: საფრანგეთში მიიღეს კანონი, რომელიც უზრუნველყოფს მარტოხელა დედების მინიმალურ შემოსავალს და ანიჭებს პენსიას მარტოდდარჩენილ, შრომისუნარმოკლებულ დედებს. გარდა ამისა, გასული წლიდან სამ და მეტ შვილიან ოჯახებს ეძლევათ დამატებითი დახმარება.

ინგლისში მიიღეს კანონები, მიმართული ქალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ, მამაკაცთან თანაბარი შრომის—თანაბარ ანაზღაურებაზე და სხვა.

ავსტრიაში 1976 წლიდან ძალაშია ახალი საქორწინო კანონმდებლობა, რომელიც მეუღლეებს თანაბარ უფლებებს ანიჭებს ქორწინებასა და ოჯახში.

გარკვეული გაუმჯობესებები შეიმჩნევა დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებისა და სხვა კონტინენტების ხალხთა ცხოვრებაში.

ფილიპინებზე სოციალური უზრუნველყოფის კანონთა საერთო სქემაში შეტანილია დახმარება დედებისათვის; ინდოეთში — შემოღებულია კანონი, რომელიც უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცის შრომის თანაბარ ანაზღაურებას.

ასეთივე პუნქტებია შეტანილი პერუსა და იამაიკის შრომის კანონმდებლობებში; ერთგვარად გაუმჯობესდა ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების ქალთა მდგომარეობაც.

მაგრამ არის ქვეყნები, სადაც კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები არ ხორციელდება.

განსაკუთრებით ეს ითქმის ე. წ. დასავლეთის ქვეყნებზე, სადაც მოგება ადამიანურ უფლებებზე მაღლა დგას, სადაც ქალს ყოველთვის უყურებდნენ, როგორც მოგების დამატებით წყაროს, სადაც მოთხოვნა: თანაბარ შრომას, თანაბარი ანაზღაურება! — ეჯახება დაუინებულ წინააღმდეგობას. ე. ი. სქესთა თანასწორუფლებიანობის კანონები მიიღება, ქვეყნდება, მაგრამ მათი განხორციელებისათვის არაფერი კეთდება, ზოგან კი ფორმალური თანასწორუფლებიანობაც არ არსებობს.

მაგალითად აშშ-ის პროგრესული ძალები აგერ 50-წელზე მეტია იბრძვიან, რათა კონსტიტუციაში შეიტანონ შესწორებები, რომლებიც უზრუნველყოფს ქალთა თანასწორუფლებიანობას. ამერიკის შრომის სამინისტროს ქალთა ბიურომ მცირე ხნის წინ გამოაქვეყნა სტატისტიკური მონაცემები ქალებზე, რომლებსაც ძალზე მცირე შემოსავალი აქვთ. ეს მონაცემები მოგვითხრობს საერთოდ ქალთა ეკონომიკურ დისკრიმინაციაზე და განსაკუთრებით ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელ — შავკანიან ქალთა მძიმე მდგომარეობაზე.

იაპონიაში 20 მილიონი ქალი მუშაობს, ე. ი. სამუშაო ძალის ერთი მესამედი, მაგრამ მათი 70 პროცენტი მომსახურებისა და სხვა არაკვალიფიციურ შრომაშია ჩაბმული და მათი შრომის ანაზღაურების დონე ძალზე დაბალია.

თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში მიღწეულია ესა თუ ის კანონმდებლობითი გაუმჯობესება, მაგრამ პროგრესს წინ ეღობება ეკონომიური კრიზისი, ინფლაცია და ზოგან აუარესებს კიდეც ქალთა მდგომარეობას. ფასების ზრდა პროდუქტებზე, პირველმოხმარების საგნებზე, ბინის ქირის, ტრანსპორტის, გათბობის, განათების გადასახადები მეტად მძიმე ტვირთად აწვება ოჯახს, დიასახლისის მხრებს. და როდესაც ამას ემატება უმუშევრობის მკვეთრი ზრდა.., მაგალითად: საფრანგეთში დღეს 1.070 ათასი უმუშევარია, დანიაში წლეულს აპრილისათვის 230 ათასი იყო, ირლანდიაში 111 ათასი, დასავლეთ ბერლინში 42 ათასი უმუშევარი.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტატისტიკური მონაცემებით დღეს მსოფლიოში 7 მილიონზე მეტი მარტო ახალგაზრდაა უმუშევარი, ხოლო დაახლოებით 10 წელიწადში, იმავე ორგანიზაციის ვარაუდით, უმუშევართა საერთო რიცხვი 550 მილიონს მიაღწევს.

წარმოების რაციონალიზაციის და მოდერნიზაციის წყალობით ბევრი კვალიფიციური მუშა კარგავს სამუშაოს, ხოლო პირველ რიგში ქალები რჩებიან უმუშევრები.

მომხსენებელმა ილაპარაკა განვითარებადი ქვეყნების ქალთა ცხოვრებასა და პრობლემებზე. „იმავე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, თქვა ფრიდა ბრაუნმა, — დღეს წერა-კითხვის უცოდინარია ლათინური ამერიკის ქვეყნების ქალთა 27 პროცენტი, აზიის — 56,2 პროცენტი, აფრიკის — 80 პროცენტი. ჩვენს ორგანიზაციებს დიდი წვლილი შეაქვთ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში“.

მომხსენებელმა ასევე მიმოიხილა სხვადასხვა ქვეყნების გლეხი ქალების ცხოვრება. „იმავე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1975 წლის მონაცემებით — აღნიშნა მან, განვითარებული ქვეყნების სოფლის მეურნეობაში დასაქმებული სამუშაო ძალის 20,27 პროცენტს ე. ი. 300 მილიონ ადამიანს ქალები შეადგენენ, ხოლო განვითარებად ქვეყნებში ისინი 72,79 პროცენტს აღწევენ. ამრიგად, ქალებს გადამწყვეტი როლი აქვთ მიკუთვნებული სოფლის ცხოვრების განვითარებაში, მაგრამ როგორია ამ შრომის ანაზღაურება? იქ, სადაც მიწის უდიდესი ნაწილი კერძო პირებს ეკუთვნით, მათი შრომა განუსაზღვრელია და აუნაზღაურებელი, ისინი ყოველგვარ ადამიანურ პირობებს და შეღავათებს მოკლებულნი, მონა ქალების მდგომარეობაში იმყოფებიან, — გაუნათლებლობის, პატრიარქატის, აბსოლუტური უკულტურობის და ჩაგვრის პირობებში. მეტად მძი-

მეა ბავშვთა მდგომარეობაც, რომლებიც მოკლებული არიან ზრდისა და განვითარების მინიმალურ პირობებსაც კი, მათთვის უცხოა ბავშვობის სიხარული, ხასკოლო მერხი, მაძღრისი ცხოვრება".

ქალთა ორგანიზაციები და კერძოდ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია, რომლის მუშაობაშიც საბჭოთა ქალების კომიტეტს დიდი როლი მიეკუთვნება, ყველაფერს აკეთებენ მსოფლიოს ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, დედათა და ბავშვთა უფლებების დაცვისათვის.

„ეჭვს გარეშეა, — სთქვა ფრიდა ბრაუნმა — რომ ქალთა მონაწილეობა ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებში არათანაბარია,— განისაზღვრება ამათუიმ ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური ცხოვრების წესით. მაგალითად, ინგლისის ბოლო ორი პარლამენტის მოწვევაში 25 ქალი იყო, ირლანდიისაში — 4, გფრ პარლამენტში 5,8 პროცენტი, აშშ-ის კონგრესში მთლიანად 5 პროცენტი, საფრანგეთის—1,8 პროცენტი, იტალიის — 3,2 პროცენტი, ბელგიის — 2,6 პროცენტი, იაპონიის — 1 პროცენტზე ნაკლები".

მომხსენებელმა ვრცლად მიმოიხილა სოციალისტური ქვეყნების და კერძოდ საბჭოთა კავშირის ქალთა და ბავშვთა ცხოვრება. ილაპარაკა მათს უფლებებზე, მათს საზოგადოებრივ მდგომარეობაზე, — მათი ზრდის, განვითარების, კეთილდღეობის დონის განუხრელ ამაღლობაზე.

„აუცილებელია, — თქვა მომხსენებელმა, რომ მსოფლიოს ქალთა ბრძოლა იქცეს ქალთა და მამაკაცთა საერთო საქმედ. უმუშევრობის, ბავშვთა აღზრდის სისტემის, უფასო სავალდებულო სწავლების პრობლემები ისევე ეხება მამაკაცებს, როგორც ქალებს. მათ საერთო სასიცოცხლო ინტერესებს ემსახურება ბრძოლა შეიარაღების შემცირებისათვის. შეიარაღებისა, რომელიც ყოველწლიურად 388 მილიარდ დოლარს და ადამიანთა უდიდეს რესურსებს შთანთქავს".

ფრიდა ბრაუნი შეჩერდა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის და საერთოდ ქალთა ორგანიზაციების ამოცანებზე, მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობის ამოცანებზე და დაასკვნა:

„ჩვენ უნდა მოვითხოვოთ — იმ საერთაშორისო დოკუმენტების რატიფიკაცია და გამოყენება, რომლებიც ეხება ქალთა დაწინაურებას, მათ ეკონომიურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს.

— მიღება, რატიფიკაცია და პრაქტიკაში გამოყენება კონვენციებისა, რომლებიც ეხება ქალთა დისკრიმინაციის აღკვეთას.

— რომ ათწლეულის მანძილზე კიდევ მეტად განმტკიცდეს სოლიდარობა იმ ქვეყნების ქალებთან და ქალთა ორგანიზაციებთან, რომელთა ხალხებიც იბრძვიან თავისი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის და იმ ახალგაზრდა სახელმწიფოების ქალებთან და ქალთა ორგანიზაციებთანაც, რომლებიც უკვე დაადგნენ დამოუკიდებლობისა და განვითარების გზას— ყველა მათთან, ვინაც იბრძვის ფაშიზმის, რეაქციის, რასიზმისა და აპარტეიდის წინააღმდეგ, — დემოკრატიის, მშვიდობისა და პროგრესისათვის.

— განვამტკიცოთ თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის სისტემის სპეციალიზირებულ დაწესებულებებთან, მოქმედების საერთაშორისო გეგმისა და ბერლინში გამართულ საერთაშორისო კონგრესის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გასატარებლად.

— ქალთა სხვა ორგანიზაციებთან და ერთობლივ კაცობრიობის პროგრესულ ძალებთან ერთად გავაძლიეროთ ბრძოლა მშვიდობისათვის, განიარაღებისათვის, შეიარაღების შეწყვეტისათვის, ადამიანთა მასობრივი მოსპობის ისეთი ახალი სისტემების იარაღის წარმოების აკრძალვისათვის, როგორიც არის ნეიტრონული ბომბი, ვიბრძოლოთ სამხედრო ბიუჯეტის შემცირებისათვის".

ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ფანი ედელმანმა თავისი მოხსენება მიუძღვნა ქსდფ VII კონგრესის გადაწყვეტილებათა შესრულების საკითხებს. განსაკუთრებით ქალთა ბრძოლას, მსოფლიოში მშვიდობის განსამტკიცებლად.

სესიის ყველა ქვეყნის მონაწილემ ილაპარაკა თავთავიანთი ქვეყნებისა და კერძოდ ქალთა პრობლემებზე და გამოთქვა მზადყოფნა მსოფლიოს ქალთა სადღეისო ამოცანებისათვის საბრძოლველად.

# ასირიელები ქართულ მიწაზე



„საქართველოს სსრ სხვადასხვა რასისა და ეროვნების მოქალაქეებს თანასწორი უფლებები აქვთ".

**(საქართველოს სსრ კონსტიტუციიდან)**

შვილმა მამა არ გაიტანაო, — ალბათ გაგიგონიათ ან მოსწრებიხართ ასეთ შემთხვევას.

ღმერთმა დაგვიფაროს!. აქ სულ სხვა ამბავია. შვილი არ არის, ღვიძლი არ არის, მაგრამ საკუთარი ნაშობივით გაიტანა ხალხი, სოფელი.

ამ ორი წლის წინათ ჩამოვიდა ინსტიტუტის სამეცნიერო კაბინეტიდან გამოსული მეცნიერი.

მას მობეზრდა ოთახში ფიქრი მეცნიერებაზე.

მოენატრა მიწა, ხალხი, ცოცხალი საქმე.

მცხეთის რაიონის სოფელ ძველ ქანდაში გაამწესეს სამუშაოდ.

სანერგე მეურნეობის დირექტორობა მიანდეს.

ზოგმა შეაშინა: მძიმე, თავისებური ხალხია, არ დაგიჯერებენ, ვერ იმუშავებო.

ქანდაში ასირიელები ცხოვრობენ — სულ 364 კომლი.

ასირიელებს თავისებური ხასიათი აქვთო, — კიდევ შეახსენეს.

არ შეშინდა და მოვიდა.

პირველივე შემხვედრი მოეწონა:

— შენი არაფერი მინდა, მაგრამ არც ჩემსას მოგცემ, ჩემი შრომით კოსტუმს ვერ ჩაიცვამო.

ეს რა თავისებურებაა, ეს ხომ ყველა პატიოსანი კაცის პრინციპია, — თქვა და ამ კაცისადმი პატივისცემით განიმსჭვალა.

მერე მეორე შემოვიდა დაღონებული. ოჯახში მამა გარდაცვლოდა. გულთან მიიტანა სხვისი უბედურება, თან გადაჰყვა ოჯახს, მიცვალებული პატივით დაასაფლავა.

მესამემ ქალიშვილის გათხოვება დააპირა. მან გამომცდელად შეხედა სასიძოს, თითქოს მისი სასიმამრო ყოფილიყოს. ვინაობა და ხასიათი გაიკითხა, შრომა და სწავლა უყვარსო, დააზუსტა. და როცა ყველაფერი მოეწონა, ქორწილში შინაურივით მივიდა.

ოჯახში ზოგჯერ ურჩი შვილი გამოერევა და მტრად მოეკიდება ყველას, ეს კი ჩვენთვის დაბადებულაო, — ასე ამბობენ ქანდაში.

თენგიზ ალფენიძე! საკმარისია ახსენო ეს სახელი და გვარი და 364 კომლისათვის ახლობელი და სასურველი შეიქნებით. ყველა მის ქებაშია. ყველას მისი კარგად ყოფნა სწადია.

და აი რატომ.

...ავტობუსი ისე მიჰქროდა თბილისისაკენ, რომ შემხვედრი მანქანები შიშით უთმობდნენ გზას. 15 წუთი აკლდა კონცერტის დაწყებას. თენგიზმა იმ დღეს გაიგო, რომ საქართველოში ასირიელთა ანსამბლი შეიქმნა და რკინიგზელთა სახლში კონცერტს მართავს. ღამდებოდა. მუშა ქალები სამუშაოდან შინ ბრუნდებოდნენ. დირექტორმა მათ წინ ავტობუსი გააჩერა: საჩქაროდ მოკოხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნელი სოხაშვილი



ციცო საადოვა



ზინა იაკოფოვა

ტავდით და ჩასხედითო. ატყდა სირბილი, გადაძახება. ძლივს დაიტია ავტობუსმა კონცერტზე წასვლის მსურველები. სიცილით, ხარხარით მიდიოდნენ გზაში. ღალამდა. რკინიგზელთა სახლის შესასვლელი დაკეტილი დახვდათ, კონცერტი დაწყებულიყო. თენგიზმა კარი ძლივს გააღებინა. ასირიელები მოვიყვანე ძველი ქანდიდან და შეუშვითო. შეუშვეს. თავისუფალი ადგილები არ იყო დარბაზში. ატყდა მთელი დავიდარაბა. კონცერტი დროებით შეწყვიტეს. სკამები შემოზიდეს. მაყურებელმა ახალმოსულებს დაუკრა ტაში: ესენი ხომ ამ სიმღერებისა და ცეკვების ქვეყნიდან იყვნენ, შორეული სამშობლოდან ავბედობას გამოქცეულ წინაპართა შვილები, მაღალი კულტურისა და ცივილიზაციის მქონე ასირიელთა შთამომავლები. და რაც იმ დღეს მათ გაიხარეს, ალბათ ასი წელი რომ იცოცხლონ, არ დაავიწყდებათ.

...სოფლის ცენტრში ძველი სკოლა დგას. კედლები გაბზარულია, ინგრევა. სკოლაში 400 ბავშვი ქართულ ენაზე სწავლობს. დედაენა, რათქმა უნდა, იციან. შინ უფროსებთან ასირიულად ლაპარაკობენ, მაგრამ ერთმანეთს ბავშვები ქართულად ესაუბრებიან, ქართული „დედა ენა“ დააქვთ ჩანთით და საქართველოს შვილებად თვლიან თავს.

ოდესღაც საქართველოს მიწა-წყალმა გულთბილად მიიღო ისინი და შეიფარა. დღეს კი წელგამართული სოფელი შრომაშია ჩაბმული. მეათე ხუთწლედის გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს და რომ შეაპარო სიტყვა, წინაპართა მიწაზე ხომ არ დაბრუნდებითო, მტრულად შემოგხედავენ, რას ამბობს, აქ დავიბადეთ და გავიზარდეთ, ეს არის ჩვენი სამშობლოო.

ასეთი გრძნობა მათ სკოლამ ჩაუნერგა, ქართულმა სკოლამ. და აი, ეს წმინდა ტაძარი, დაბალი, პატარაფანჯრებიანი შენობა ინგრევა. ახალი შენობის აშენებას რამდენიმე წლის შემდეგ შეპირდნენ. თენგიზმა მოსვლისთანავე გადაწყვიტა სასწრაფოდ აეგო სკოლა. სდია ამ საქმეს, მთავრობასთან მივიდა და მდგომარეობა გააცნო. დაყოვნება მართლაც არ შეიძლებოდა. სკოლას სამშენებლო მასალა გამოუყვეს, საძირკველი გაითხარა, კედლები ამოიმართა.

სკოლის ახლოს ლამაზადნაგები, ქალაქის ტიპის შენობაა — სათავსებით, ღია აივნებით, გათბობით, კანალიზაციით. ამ სახლში მეურნეობის მუშები ცხოვრობენ, რომელთაც ეზო-კარმიდამო არა აქვთ და საცხოვრებლად და სამუშაოდ ქანდა აირჩიეს. ასეთი სახლები ჩამოსულთათვის კიდევ აშენდება.

სოფელში ლარივით გაჭიმული გზებია. გზა ყოველთვის მთავარია და თვალშისაცემი. თუ გზა არ ვარგა, რა ფასი აქვს კარგ სახლში შესვლას. და აი, გზების სამუშაოებიც დაიწყო, მალე ასფალტის დაგებას მორჩებიან.

მეურნეობის დირექტორი აწუხებს, რომ კლუბი არა აქვთ. კლუბი რომ ჰქონდეთ, ასირიელები თვითმოქმედებას უფრო გაშლიდნენ. კულტურას და განათლებას უფრო მეტად ეზიარებოდნენ.

მალე კლუბიც უნდა ავაშენოო, — ამბობს თენგიზი.

ასირიელებს ძალიან უყვართ შრომა, საქმეს ძირფესვიანად სწავლობენ, ზოგჯერ აგრონომსაც სჯობნიან, — ასეთი აზრისაა დირექტორი მუშებზე.

ისინი ვაზის საუკეთესო ნერგებს აწვდიან მეზობელ მეურნეობებს. ასეთ ნერგებს მხოლოდ ქანდელები ამზადებენ. მათი ნერგი გამძლეა და ღალატი არ იცის. ეს იმიტომ, რომ სანდო ხელებმა ახარა. ისინი ზინა იაკოფოვას, ნელი სოხაშვილის, ციცო საადოვას გამოყვანილია.

ძალიან ძნელია ვაზის ნერგის გამოყვანა, თითოეული მუშა 20-30 ათას ძირს უნდა ეფეროს, დეკემბერში საძირეები აჭრას, საწყობში შეიტანოს და სილაში შეინახოს, შემდეგ ეს ფილოქსერაგამძლეები 35 სანტიმეტრზე დააყენოს. სამყნობ ძირს რომ გაამზადებენ, მერე მისი ძირი უნდა დააბრმავონ, რომ დამყნობილ ძირზე არ იმოქმედოს. ჩინურსაც ამყნობენ, რქაწითელსაც.

დაბრმავებული და გადაჭრილი სადედე ლერწი წყლის აუზში გადააქვთ და 12 საათის განმავლობაში ტოვებენ.

დამყნობილი ძირი 15 დღეს კამერებში აწყვია თბილად. ნამყენი ორი დღით გამოაქვთ გასაკაჟებლად და შემდეგ, ადრეულ გაზაფხულზე, მინდორში რგავენ. ძირი მალე ფესვს იკეთებს.

ძნელია დარგვა! სულ მუხლებზე უნდა იჩოჩოს დამრგველმა. თენგიზმა ეს იცის და ამიტომ უხარია, რომ მუშები თვეში ორასორმოცდაათ მანეთს იღებენ. ორიათას ხუთას მანეთს წლიურ პრემიას ანგარიშობს მათთვის დირექტორი. რაც შეიძლება მაღალ პროცენტებს ეძებს, რომ ხელებს ჯაფა დაუფასდეს. მუშის ნახევარ ჰექტარზე დარგულ ნამყენს 6 პირი თოხი სჭირდება, 6 პირი მთრწყვა, 5-ჯერ სასუქი, 2-ჯერ ფესვების გადაჭრა. ეს იოლი არ არის და ამიტომ ანაზღაურებასაც მეტს იღებენ.

მათ ხომ განსაზღვრული სამუშაო არა აქვთ. ხილის ბაღებიც მათი მოსავლელია, მსხმოიარე ვენახიც, ყანაც, ბოსტანიც.

მალე ვაზის ასეთი საუკეთესო ნერგები იმდენი გვექნება, რომ სხვა რესპუბლიკებსაც გავუგზავნითო, — უხარია დირექტორს. საღამოს სოფლის ქუჩაზე რომ ჩამოივლის, ერთ-ერთ ჭიშკართან სალამზე სალმით უპასუხებს, მერე ორ სიტყვას თვითონაც ასირიულად იტყვის. ცხელი ლავაშებით სავსე ხონჩას შემოთავაზებისას ერთ ლავაშს ააცლის და დაახვევს, სკოლისაკენ გასწევს და მასწავლებლებს, რომლებიც თბილისიდან დადიან, მეორე დილისათვის დროს დაუნიშნავს, რომ მანქანით გამოუაროს.

ქანდას შვილები მუშებად, კოლმეურნეებად, ექიმებად, ინჟინრებად, აგრონომებად დაუზრდია. ისინი მოსდებიან სხვადასხვა კუთხეებს, მოღვაწეობენ საქართველოში და ამაყად ამბობენ, ჩვენი მშობლიური მიწა ქართულიაო.

**ლია კაკაბაძე**



# ნოდარ დუმბაძე 50 წლისაა

გამოჩენილ ქართველ მწერალს ნოდარ დუმბაძეს 50 წელი შეუსრულდა.

ძვირფასო ნოდარ, ჟურნალი „საქართველოს ქალი“ და მისი მკითხველები გულითადად მოგესალმებით და გილოცავთ. 50 წელი თქვენთვის შემოქმედებითი სიმწიფისა და სიჭაბუკის წელია. იგი ოქროს დარად იწონის იმ დიდ სიყვარულს, პოპულარობასა და სახელს, რაიც ასე სამართლიანად მოიპოვეთ თქვენს მშობელ ქართველ ხალხში, თქვენს ვრცელ საბჭოთა სამშობლოში და მის საზღვრებს გარეთაც. ჩვენ წყაროსავით ვეწაფებით თქვენს ნაწარმოებებს: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მე ვხედავ მზეს“, „მზიანი ღამე“, „თეთრი ბაირაღები“, „მარადისობის კანონი“; ჩვენ გვიყვარს თქვენი მოთხრობები, ჭეშმარიტი ადამიანური, ამაღლებული გრძნობით სავსე. გვიყვარს თქვენი გმირები ცხოვრებაშიც, რომანებშიც, სცენაზეც. გვიყვარს, რადგან ხალხიდან არის წამოსული მათი კეთილშობილება, მათი ხასიათი, მათი მაღალი ჰუმანიზმი... ქართველ ქალთა ჟურნალი მადლობას მოგახსენებს, მშვენიერი საბავშვო ლექსებისთვისაც, რადგან ჩვენმა ბავშვებმა შეიყვარეს და დაიზეპირეს ისინი...

პატივცემულო ნოდარ, მიიღეთ ჩვენი გულწრფელი მილოცვა, ჩვენი კეთილი სურვილები. იყავით ჯანმრთელი და ბედნიერი, შექმენით ახალახალი წიგნები თქვენდა სასახელოდ, ჩვენდა სასახელოდ, მკითხველთა გასახარად!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფაბრიკის დირექტორი ლეილა კოსტავა



ჩვენი ინტერვიუ

მარი კიკნაძე

# ფარდები, ფარდები...

კარგახანია ისმის ხაშურის საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკის ქება. მომხმარებელს მოსწონს ფაბრიკის მაღალხარისხოვანი პროდუქცია — ოთახის ფარდები. დავინტერესდით საწარმოს მუშაობით და რამდენიმე კითხვით მივმართეთ მის დირექტორს **ლეილა კოსტავას:**

**— როდის ამუშავდა ფაბრიკა და რატომ აშენდა ის მაინცადამაინც ხაშურში?**

— ფაბრიკა 1970 წელს ამუშავდა. მისი ტერიტორიის ახლოს დაუსახლებელი, უკაცრიელი ადგილები იყო. ფაბრიკას მუშახელი სჭირდებოდა, ხალხი სიამოვნებით მოდიოდა და სახლდებოდა. ახმიანდა მიყრუებული ველები, გაშენდა, ქალაქს დაემგვანა. ასე რომ, ფაბრიკა აქ ამ ადგილების დასახლების გამო აშენდა.

**— რა სახის პროდუქციას უშვებს თქვენი საწარმო და როგორია მისი წარმადობა?**

— საგალანტერიო ფაბრიკა ძირითადად საფარდე-სამაქმანე ქსოვილს უშვებს, გარდა ამისა, აქ მზადდება ფეხსაცმლის გასაფორმებელი და შესაკრავი თასმები. კაცის შარვლის კორსაჟები, ტექნიკური ღვედები. ამ უკანასკნელზე განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა. მას „საფეიქრო შესაკრავი" ეწოდება და ფართოდ იყენებენ წნევის აპარატების დასამზადებლად ლენინგრადის სამედიცინო სამრეწველო ქარხანა „კრასნი გვარდეიცში", რიგის რადიოს ქარხანაში, მოსკოვის ავტოქარხანაში, გემთმშენებლობასა და საავიაციო მშენებლობაში...

**— სად იგზავნება თქვენი ნაწარმი?**

— ჩვენს პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილებაა. ამას ისიც ადასტურებს, რომ დღითიდღე იზრდება დამკვეთთა ხელშეკრულებების რიცხვი. კონკრეტულად დღეისათვის 700-მდე სამრეწველო და სავაჭრო ორგანიზაციას ვაწვდით ჩვენს ნაწარმს. გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ მომხმარებლებს მოსწონთ ფარდებისა და მაქმანების მოხატულობა, რომელსაც ეროვნულ მოტივებზე ვქმნით.

**— რა უდევს საფუძვლად საწარმოს წარმატებებს?**

— უწინარესად, ის, რომ გვაქვს საჭირო მანქანა-დანადგარები, უზრუნველყოფილი ვართ ნედლეულით. ნედლეულს ძირითადად ვიღებთ სსრ კავშირის ქიმიური ბოჭკოს დამამზადებელი ქარხნიდან, მოგილიოვის, რუსთავის, ჩერკასის, ნერვის, კურსკის, გორის ბამბეულის კომბინატებიდან, თბილისის თეთრეულის საწარმოო გაერთიანებიდან, სამტრედიის ბამბის სართავი ფაბრიკიდან, საზღვარგარეთის სხვადასხვა მსუბუქი მრეწველობის საწარმოებიდან, მაგრამ, სიმართლე რომ გითხრათ, დიდ განსხვავებას ვერაფერს ვხედავთ სამამულო და საზღვარგარეთულ ნედლეულს შორის.

ჩვენი საწარმო დამონტაჟებულია უახლესი მანქანა-დანადგარებით, კერძოდ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფირმა „მაიერის" საფარდე-სამაქმანე საქსოვი მანქანებით. ფირმის სპეციალისტები ყურადღებას არ გვაკლებენ. წლეულს უკვე ორჯერ ჩამოვიდა ორი სპეციალისტი, რათა ჩვენთვის გამოცდილება გაეზიარებინათ. მათ პრაქტიკული ცვლილებებიც კი შეიტანეს ქსოვილის ტექნოლოგიაში, რის შედეგადაც საგრძნობლად გაუმჯობესდა ქსოვის ხარისხი.

**—რას გვეტყოდით რეკლამაციის შესახებ?**

— საფარდე ქსოვილის ორმოცდაათი პროცენტი ხარისხის ნიშნიანია. წლეულს პირველი და მეორე კვარტალის გეგმები გადაჭარბებით შევასრულეთ. რეკლამაცია საფარდე-სამაქმანე ქსოვილზე სრულებით არა გვაქვს. გვიწუნებენ ფეხსაცმლის თასმების ფერსა და გამძლეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ წუნის აღმოსაფხვრელად უკვე დავსახეთ კონკრეტული ღონისძიებები.

ჩვენდა სამაყოდ უნდა ითქვას, რომ ფაბრიკამ არსებობის მანძილზე წლეულს პირველად მიიღო მონაწილეობა რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და წლეულს, პირველი კვარტალის მაჩვენებლებით, პირველი ადგილიც მოიპოვა. გამარჯვება პარტიული კომიტეტის, ყველა საამქროს, საფაბრიკო კომიტეტის, თითოეული მშრომელის დაუღალავი შრომის, დიდი მონდომების შედეგია.

**— ქალთა ჟურნალის მრავალათასიანი მკითხველებისათვის საინტერესოა, როგორია მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობები.**

— საწარმოში 2 100 მუშა-მოსამსახურეა. და განა გვაქვს უფლება ამ ადამიანებისთვის არ ვზრუნავდეთ?!

კეთილმოწყობილია სადღეღამისო ბაგა-ბაღი 150 ბავშვისათვის. ვაშენებთ მეორე კომპლექსს; საერთო საცხოვრებელი 300 კაცისათვის არის განსაზღვრული, ავაშენეთ 60-ბინიანი სამი საცხოვრებელი სახლი, მუშათა სასადილო, სპორტდარბაზი, სპორტმოედანი, მოვაწყვეთ საშხაპეები, გასახდელები, ქალთა ჰიგიენის ოთახი. გვაქვს დამხმარე სასათბურე მეურნეობა, და იქ მოწეული კიტრი, პამიდორი და საზამთრო უფასოდ ეძლევათ მუშა-მოსამსახურეებს. ხაშურის ოთხ მსხვილ საწარმოს და მათ შორის ჩვენს ფაბრიკასაც მალე ექნება მეღორეობის ფერმა. რა თქმა უნდა, ფერმის შემოსავალიც მუშა-მოსამსახურეებს მოხმარდება.

**— რას გვეტყოდით კადრების, ფეიქრების მომზადების შესახებ?**

— ფაბრიკას აქვს საკუთარი პროფტექნიკური სასწავლებელი, რომელშიც 306 ახალგაზრდა სწავლობს. კვალიფიციური კადრების ნაწილი ჩვენთან რჩება, ნაწილი კი გორის ბამბეულის კომბინატში მიდის. მუშების დენადობა ამ ბოლო დროს 5 პროცენტამდე შემცირდა.

ე. იაკობაშვილის ფოტო



დარეჯან გოგალაძე

**— დაგვისახელეთ რამდენიმე მოწინავე მუშა, რომლებითაც ამაყობს ფაბრიკა.**

— საფარდე-სამაქმანე საამქროს მოწინავენი არიან ვალენტინა თევდორაშვილი, ლიანა ღონღაძე, ლია ელენტი, მანანა ნოზაძე, რომლებიც ყოველდღიურ დავალებას 120-130 პროცენტით ასრულებენ. გეგმით თითოეულმა მათგანმა დღეში 62 მეტრი ქსოვილი უნდა მოქსოვოს, ფაქტიურად 80-85 მეტრს ქსოვენ და 3-3 დაზგას ემსახურებიან. ამ მოწინავე საამქროს სათავეში უდგას ახალგაზრდა ენერგიული სპეციალისტი ნანა ნოზაძე, რომლის უნარიანმა ხელმძღვანელობამაც დიდად შეუწყო ხელი საამქროს აღმავლობას.

გამომშვებ საამქროში მოწინავენი არიან ნუცა ბითაძე, დარეჯან გოგალაძე, ნუნუ კიკნაძე, რაია ღონღაძე. როცა ფაბრიკის მოწინავეებს ვახსენებთ, არ შეიძლება არ დავასახელოთ ანრი ჯაფარაშვილი, ლიანა მესხი, ლამარა ხარაზიშვილი, ნინა ნახაპეტიანი, ნაირა მახარაშვილი, ანგელინა ხაჩიძე, ნუნუ ტაბატაძე, რომლებიც ყოველდღიურ გეგმებს 150-160 პროცენტით ასრულებენ.

**— როგორია მომავლის გეგმები?**

— ამ დღეებში დიდი ღონისძიების მოწყობა მოგვიხდება — ჩვენთან რამდენიმე დღეში მუშაობას შეუდგება საკავშირო სამხატვრო საბჭო, რომელიც დეტალურად განიხილავს საფარდე-სამაქმანე წარმოების პერსპექტივებს, მისი მომავალი განვითარების გეგმებს. საბჭოში მონაწილეობას მიიღებენ ყველა მონათესავე საწარმოების წარმომადგენლები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, თითქმის ყველა დიდი გაერთიანებიდან, აგრეთვე ფირმა „მაიერი". ვფიქრობთ, ეს ძალზე საჭირო, სასარგებლო ღონისძიება იქნება.



ნუნუ კიკნაძე

ინტერვიუ აიღო **ნანული ბუკიამ**

1978 წ. მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა კანდელაკი

# ჭრიჭალი

მოთხრობა

მხატვარი ლია სვანიძე

ანუკა ჩხენკელი ორმოც წელს მიტანებული ქალი იყო.

ახალგაზრდა გათხოვდა, მაშინვე, სკოლის დამთავრების შემდეგ. ინსტიტუტში დიპლომი რომ დაიცვა, დედამთილმა ხუმრობანარევი ღიმილით უთხრა: საბავშვო ბაღი დავამთავრებინე, ამ შენს ბიჭს, დანარჩენს შენ მიხედეო. ის მოიმიზეზა, — სიძე-ქალიშვილს უნდა მივეხმარო ახალი ოჯახის აშენებაშიო.

მაინც წავიდა ანუკა სამუშაოდ, მაგრამ ძალიან გაუჭირდა. სულ სირბილში იყო: სახლიდან სკოლაში, იქიდან სამსახურში, შესვენებაზე — ისევ სკოლაში ბიჭის წამოსაყვანად, მერე ისევ სამსახურში, სადაც მუშაობის დამთავრებამდე ჰყავდა შვილი...

ბადრი ნერვიული იზრდებოდა, ხშირად ავადმყოფობდა. ანუკას სამსახურის გაცდენა უხდებოდა, ერთთავად ბიულეტენზე იყო. ბიჭის ხშირ ავადმყოფობაზე შინ ქმარი ბუზღუნებდა, სამუშაოს გაცდენაზე სამსახურში — უფროსი.

სხვა გზა არ იყო და ანუკამ მუშაობას თავი დაანება.

ერთფეროვანი დღეები ერთმანეთს გადაება: სახლი, ბაზარი, სკოლა... იშვიათად — თოჯინების, ან მოზარდმაყურებელთა თეატრში დასწრება... მერე ბიჭი რომ წამოიზარდა და დედამ იგრძნო, რომ უკვე უხერხული იყო კუდში დევნა, სულ ჩაიკეტა ქალი შინ.

ერთ მშვენიერ დღეს ბადრიმ თანაკურსელი გოგონა მოუყვანა.

ასე გაიცნო ანუკამ მომავალი რძალი.

შემოდგომაზე ახალგაზრდები დაქორწინდნენ. ირმა შეძლებული ოჯახის შვილი იყო, ბინაც უკეთესი ჰქონდათ და გადაწყდა — ბადრი ზედსიძედ შევიდა სიმამრის ოჯახში.

მარტო დარჩა ანუკა. კედლებს აწყდებოდა, არ იცოდა დრო როგორ გაეყვანა. სამსახურიდან ქმრის დაბრუნებას უკვდავების წყაროსავით მოელოდა.

ჯონდო ქალაქის ერთ-ერთ საავადმყოფოში მუშაობდა, ქირურგიულ განყოფილებაში. კარგ დასტაქრად ითვლებოდა, ავადმყოფებზე გადაყოლილი იყო და გვიანობამდე რჩებოდა ხშირად განყოფილებაში.

მარტოობამ და უსაქმურობამ ძალიან რომ დაჯაბნა ქალი, ველარ მოითმინა და ქმარს თავისი სურვილი გამოუცხადა სამსახურის თაობაზე.

— არა, შენი ჭირიმე, ზოგიერთივით მშრალ საჭმელზე ვერ დავჯდები და ვერც კარადაში დავიწყებ სუფთა ხალათის ძებნას, — გზა გადაუჭრა ჯონდომ ანუკას.

— რატომ გგონია, რომ ყურადღებას მოვაკლებ ოჯახს?

—ორი საქმის გამკეთებელი ადამიანი მე არ მეგულება ჯერ ქვეყნად. აქსიომაა ეს და მოდი შევწყვიტოთ ამაზე კამათი.

არც შეკამათებია ანუკა ქმარს და ყველაფერი ძველებურად გაგრძელდა: სახლი, ბაზარი, სამზარეულო და ლოდინი, ლოდინი, ლოდინი...

ერთხელაც აღარ დაბრუნდა საავადმყოფოდან ჯონდო.

შუაღამე გადასული იყო, განყოფილებაში რომ დარეკა ანუკამ. ვიღაცამ ნამძინარევი ხმით უპასუხა: ექიმი ჯონდო დღეიდან შვებულებაშია და მეუღლესთან ერთად ბალტიისპირეთში წავიდაო.

გაშრა ქალი. ძლივს მოძებნა ხელით სკამი, ნელა დაეშვა და იჯდა ასე, ცრემლგამშრალი, სანამ არ გათენდა.

შესვენებისთვის დარეკა შვილთან სამსახურში, შინ დაიბარა. დედის ხმაში შვილმა უჩვეულო მღელვარება იგრძნო და ნახევარ საათში მასთან გაჩნდა.

ანუკა თვალცრემლიანი შეხვდა.

— მამაშენი წავიდა სახლიდან... სხვისგან გავიგე, რომ მიმატოვა.

ბადრი კარგა ხანს დუმდა. მოგვიანებით ჩაილაპარაკა:

— ვიცოდი, სხვა რომ ჰყავდა, მაგრამ ოჯახიდან თუ წავიდოდა, არ მეგონა... არ გეწყინოს, დედა, შენი ბრალიც არის...

— ჩემი?! რატომ? რა მოვაკელი მამაშენს — ყურადღება, ერთგულება თუ სიყვარული?

— ჩაიკეტე ოთხკედელს შუა, ველარ გამოხვედი იმ სამზარეულოდან, ყველაფერს ჩამორჩი... არავის სჭირდება ასეთი ერთგულება. არც მამაჩემს დასჭირდა, იმიტომ, რომ მამა...

— ჰო, მამაშენი გამოჩენილი დასტაქარია, საზოგადოებაში გამოსული კაცი და ჩემზე უკეთესი იშოვა. — აენთო ანუკა.

— ეგ მე არ მითქვამს.

— ხომ გაიფიქრე?

— ის ქალი არც შენზე ლამაზია და არც უკეთესი დიასახლისი. მაგრამ კოხტაც არის და ცნობილი ექიმიცაა. გამიგე, დედა, ურთიერთობა, საქმიანი საუბრები, კამათი საჭირბოროტო საკითხებზე, კინოზე, ლიტერატურაზე აახლოვებს ადამიანებს, შენ კი გადაყევი რეცეპტებით საჭმელების კეთებას და ნამცხვრების გამოცხობას.

— მართალია, ჩვენ აღარაფერი გვაკავშირებდა, შვილიც კი...

— დედა, შენი ჭირიმე...

— მაინც უნდა ეთქვა, უნდა ეთქვა, რომ მიდიოდა...

— ვერ გეტყოდა, დედა.

— ვაჟკაცობა არ ეყო? — მწარედ გაეღიმა ანუკას და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. მერე უცებ გაოგნებულმა ხმადაბლა იკითხა:

— რა ვქნა ახლა მე?! რა გამაძლებინებს სულ მარტოს ამ ბინაში? ბადრი, გადმოსულიყავით შენ და შენი ცოლ-შვილი აქ! თან გადაგყვებით...

ბადრი უხერხულად შეიშმუშნა.

— ირმა განებივრებულია თავისიანებისაგან, შენი მოერიდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესეც არ იყოს, შენ როგორ შეგიძლია ისე უზრუნველგვყო, როგორც იქ გვიწყობს ხელს ჩემი სიმამრი... — ბადრიმ საათს დახედა და უცებ წამოიძახა: —რა დრო გასულა... სამსახურში მეჩქარება, მერე კი სახლში. დღეს ჩვენები მოსკოვში თამაშობენ, ტელევიზიით არის გადმოცემა. ხომ იცი, როგორ უყვარს ჩემს სიმამრს ფეხბურთი, რომ არ მივიდე, ეწყინება.

ანუკა ლამის ბოღმამ დაახრჩო, მაგრამ იგრძნო, რომ ამაო იქნებოდა ახლა საყვედურიც, მუდარაც. ბადრის გული და გონება სხვაგან იყო. გაიყარა დედა-შვილის გზა, სხვამ წაართვა იგი...

ბადრიმ აკოცა დედას და კარებიდან უთხრა ნაჩქარევად:

— გადი სამსახურში, ნუ აცდენ არქიტექტორის დიპლომს.

ანუკას ჯერ ქუთაისში უნდოდა მშობლებთან წასვლა, მაგრამ შეეცოდა მოხუცები და, ცოტა სული რომ მოითქვა, თანაკურსელს მიმართა. მისი დახმარებით მუშაობა დაიწყო ერთ-ერთი ტრესტის საპროექტოში. გულის იარის შეხორცებას დრო დასჭირდა, მერე თითქოს შეეჩვია მარტოობას, მუშაობაში ჩარგო თავი და იმასაც იღბალს მიაწერდა, რომ კარგი კოლექტივი შეხვდა, თბილი, და, რაც მთავარია ნაკლებად ცნობისმოყვარენი.

ერთადერთი გასართობი კინო იყო ანუკასთვის. სამსახურიდან რუსთაველის სახელობის კინოთეატრში უყვარდა წასვლა. კვირაში ორჯერ იქ იყო და არაფრით არ გააცდენდა ახალი ფილმის ჩვენებას.

იმ საღამოსაც, მუშაობის დამთავრების შემდეგ, კინოთეატრისაკენ გაემართა. ახალ ქართულ ფილმს უჩვენებდნენ. სალაროებთან ფუტკარივით ზუზუნებდა ხალხი. ანუკა მაინც ჩადგა რიგში, მაგრამ ამ დროს სალაროს სარკმელთან აბრა გამოჰკიდეს — 6 საათიან სეანსზე ყველა ბილეთი გაყიდულიაო და გულდაწყვეტილმა ქალმა რიგი მიატოვა.

— დეიდა, სამი ბილეთი მაქვს, არ აიღებთ? ამხანაგებმა დაიგვიანეს და მარტო არ მინდა შევიდე დარბაზში. — გზა გადაუჭრა ბილეთებით ხელგაწვდენილმა ბიჭუნამ.

— მე მხოლოდ ერთი ბილეთი მინდა, მომცემ ერთს?

— მეორეს მე ავიღებ. — ფული გაუწოდა ბიჭს ჭაღარა მანდილოსანმა.

— მესამე ბილეთი კი ჩემია. — ღიმილით თქვა ახალგაზრდა კაცმა. — დიდი მადლობა, ბიჭუნა, ნამდვილად აღარ მეგონა, თუ დავესწრებოდი ამ სეანსს.

— ვიჩქაროთ, არ გესმით, უკვე მესამე ზარი იყო — კონტროლიორისკენ მოუჩქარა ნაბიჯს მანდილოსანმა და ანუკას და იმ კაცს ხელი დაუქნია — ნუ ჩამორჩებითო.

ფილმი რომ დამთავრდა და გასასვლელი კარისკენ ადიდებულ მდინარესავით დაიძრა ხალხი, უცებ თითქოს ჯებირი დახვდათო, ყველა შეჩერდა.

— რა მოხდა, რას გაჩერებულხართ, ხალხო? — მოისმა ზურგიდან ხმები.

— გარეთ წვიმს, თავსხმაა, — გაეპასუხნენ ვიღაცეები.

— მაშ ლოდინი მოგვიხდება. — ჩაილაპარაკა მანდილოსანმა.

— თუ ნებას მომცემთ, მანქანა მაქვს აქვე გაჩერებული და მიგიყვანთ სახლამდე.

— მე ძალიან შორს ვცხოვრობ, ვერ შეგაწუხებთ, — უკან დაიხია ანუკამ.

— მანქანისათვის მანძილს რა მნიშვნელობა აქვს. — გაეღიმა მამაკაცს.

— პატიოსანი კაცი ჩანს, რას ჭირვეულობთ. — ხელი ჩასჭიდა მანდილოსანმა ანუკას მაჯაში და თავი დაუქნია. — პატივი დაგვდეთ, მადლობელი ვართ ყურადღებისათვის...

მანქანაში რომ ჩასხდნენ და გზას გაუდგნენ, საჭესთან მჯდომ კაცს მორიდებით უთხრა მანდილოსანმა:

— ახლა მაინც გავიცნოთ ერთმანეთი: მე, ელისაბედ ლაშხი ვარ, მაგრამ ყველა ლიზას მეძახის.

— მე, ანუკა ჩხენკელი ვარ.

— ლევან ჯაბადარი ვარ, ქირურგი, გორში ვცხოვრობ და იქვე ვმუშაობ.

— ახლა გორში აპირებთ წასვლას? ამ ამინდში?! — ვერ დაფარა ლიზამ გაოცება.

— აქ საინტერესო ოპერაციას დავესწარი. მერე ყური მოვკარი ამ ფილმის ქებას და აი, ვნახე კიდევაც. წვიმაში მგზავრობას რა სჯობს, ქალბატონო ლიზა. საათნახევარში შინ ვიქნები.

— ბევრის უფლებას გაძლევთ ცოლი.

— უცოლო ვარ, ქალბატონო ლიზა.

— მაპატიეთ, ასე რომ გაგიშინაურდით, მაგრამ დიდ დანაშაულს სჩადიხართ ღმერთმანი.

— რა ვქნა, გადავყევი დისერტაციებს — ჯერ საკანდიდატოს, მერე სადოქტოროს. ჰოდა, წლები თვალსა და ხელს შუა გამიქრა... ერთი თვის წინათ ორმოცისა შევსრულდი. ეს უკვე შუახანს ნიშნავს, ხომ?

— დიახ, თითქმის ასეა... — ოხვრით დასძინა ლიზამ და უცებ ანუკას მიუბრუნდა ღიმილით: — თქვენ ხომ... ჰა?

— მე უკვე ბებია ვარ.

— აი, ყოჩაღ! ო, როგორ ვოცნებობდი, ჩემი ირაკლის დაოჯახებას მოვსწრებოდი. მაგრამ ასე არ მოხდა... აი, ჩემი სახლიც. გამიჩერეთ მანქანა. იქნებ ამოსულიყავით ცოტა ხნით ჩემთან, ჩაი დაგველია, ახალი მოდუღებული ხენდროს მურაბა მაქვს... ჰო, რას მიცქერით ასე, ანუკა? დღეს ყველაფერი ცოტა უცნაურად წაეწყო, ხდება, რას ვიზამთ! ასეა ცხოვრება... ასე მეგობრდებიან ადამიანები, დამიჯერეთ. ამოდით, გთხოვთ.

— მე თქვენ ვიღაცა გადამთიელი გგონივართ. — გაეღიმა ანუკას.

— ჰოდა, ასე რომ არ ვიფიქროთ, ავიდეთ ახლა ჩემთან. მანქანა აქვე გააჩერეთ, სადარბაზოსთან, ლევან. მესამე სართულზე ვცხოვრობ, კარებს ღიად დავტოვებ. — გახალისდა ლიზა, ანუკას იდაყვში ხელი ჩასჭიდა და მასთან ერთად სადარბაზოში შევიდა.

ლიზა ლაშხს ოროთახიანი ბინა ჰქონდა. ქმარი ათი წელი იყო, რაც გარდაცვლილოდა და პენსიაზე გასული ქალი მარტო ცხოვრობდა.

ოთახები სადად, მაგრამ გემოვნებით ჰქონდა მოწყობილი. სასადილოს მშვენება „ბეკერის" როიალი იყო და ძველებური, შავი ხის მოგრძო მაგიდა, მაღალზურგიანი სკამებით. როიალის თავზე ზეთის საღებავებით დახატული დიდი პორტრეტი ეკიდა — 14-15 წლის ჭაბუკისა, რომელიც როიალს უჯდა შთაგონებული სახით.

— ეს ჩემი ირაკლის პორტრეტია. იმედისმომცემი პიანისტი იყო. ორმოცდაორში თექვსმეტი წლისა გაიპარა ორ მეგობართან ერთად ფრონტზე და... აღარ დაბრუნებულა. მამამისი სულ თვალცრემლიანი დადიოდა, გული დაუავადდა და გადაჰყვა დარდს... აი, მე კი... ცოცხალი ვარ. — ლიზამ სახე მოარიდა სტუმრებს. თითები მოისვა თვალებზე, სამზარეულოში გავიდა და იქიდან გამოსძახა: — ახლავე ჩაიდანს შევდგამ გაზქურაზე, თუ რომელიმე უკრავთ, ისიამოვნეთ, ნახეთ, რა კარგი ინსტრუმენტია.

— ცოდვაა, სულ მარტოა. — თქვა ჩაფიქრებულმა ლევანმა.

— ჰო, ძნელია მარტოობა. — გამოეპასუხა ხმადაბლა ანუკა.

— ის მართალია, რაც წეღან თქვით?

— რა? — ლამაზი კბილები გამოაჩინა ქალმა. — რომ ბებია ვარ?

— მე გაუთხოვარი მეგონეთ.

— მაცდური გარეგნობა მქონია.

— ფორტეპიანოს უკრავთ?

— მხოლოდ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. — ჩაიკისკისა ქალმა.

— აბა მე დავუკრავ, სოლოს, პირადად თქვენთვის.

— შოპენის ნოქტიურნი დაუკარით.

— ბედი გქონიათ, ჯერ კიდევ მახსოვს...

როგორც კი შეეხო ლევანი კლავიშებს, ოთახში ლიზა შემოვიდა. ის კარებთან გაჩერდა და სულგანაბული უსმენდა შოპენის დიდებულ ჰანგებს.

— რა კარგად უკრავთ, ლევან! გმადლობთ... ასე მგონია, ჩემი ირაკლი დაბრუნდა... დაუკარით კიდევ... მე ნუ მომაქცევთ ყურადღებას, მიჭირს ცრემლების შეკავება... ძნელია... დაუკარით, გთხოვთ...

ლიზა სუფრის გაშლას შეუდგა. დროდადრო ცრემლებს იმშრალებდა ხოლმე და სულ ერთსა და იგივეს იმეორებდა:

— რა ფეხზე შემხვდით, თქვენ გენაცვალეთ, როგორ გამიხარეთ გული. სიტყვა მომეცით, რომ არ დამივიწყებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ქალბატონ ანუკასი არ ვიცი, მე კი, თუ ნებას მომცემთ, სიამოვნებით გესტუმრებით ხოლმე.

— ერთად, ერთად უნდა მესტუმროთ. დამიჯერეთ, მოხუცებმაც ვიცით ნამდვილი მეგობრობა, გულითადი მეგობრობა... დაუკარით ლევან...

— სხვა დროს, ქალბატონო ლიზა, უკვე გვიანაა, წავალთ. ლევანს შორი გზა აქვს კიდევ. — ანუკა წამოდგა და ჩანთას წაატანა ხელი.

— შინ, ალბათ, გელოდებიან, ნერვიულობენ. — თქვა ლიზამ და ლევანს ღიმილით მიაჩერდა.

— კი, მელოდებიან ჩვენები, დედა და მამა, დიდედა. მომავალ შეხვედრამდე, ქალბატონო ლიზა! — ხელზე აკოცა დიასახლისს ლევანმა.

— ნუ დამივიწყებთ, დაგელოდებით... აბა კეთილი მგზავრობა. — მანქანაში სანამ არ ჩასხდნენ სტუმრები და სანამ არ მიეფარნენ მახლობელ მოსახვევს, ლიზა ქუჩაში იდგა და ხელს უქნევდა მიმავალთ.

* * *

მეორე დღეს სამსახურიდან რომ გამოვიდა ანუკა, ნაცნობი თეთრი „ჟიგული“ სადარბაზოსთან დახვდა.

ლევანი უმალვე გადმოვიდა მანქანიდან და ანუკას მიესალმა.

— ისევ საინტერესო ოპერაციას დაესწარით, თბილისში რომ ჩამოსულხართ? — ნიშნის მოგებით ჰკითხა ანუკამ.

— დღეს თქვენს გამო ჩამოვედი... მინდა სახლამდე მიგაცილოთ. მინდა გავიგო, რა გაწუხებთ. თქვენ ისე დაღონებული იყავით გუშინ...

— არა, არა, ნუ შეწუხდებით, ლევან. არ არის საჭირო.

— ეს კატეგორიული მოთხოვნაა?

— ჰო, ლევან, ჰო...

— ნება თქვენია; იყოს ისე, როგორც თქვენა გსურთ, — თქვა და გაეცალა ლევანი.

მაგრამ მთელი შემდგომი კვირა, სამსახურიდან დაბრუნებული ანუკა, თავის სახლიდან ოდნავ მოშორებით, მუდამდღე ნაცნობ მანქანას ხედავდა. თავი ისე ეჭირა, თითქოს ვერაფერს ამჩნევდა, შინაგანად კი აფორიაქებდა ეს, ვერ იძინებდა. წუხდა რომ უცნობ კაცს ნება მისცა მასთან გაშინაურებისა.

გავიდა კიდევ რამდენიმე დღე და ლევანი ახლა უკვე სადარბაზოსთან დაუხვდა ანუკას.

— ქალბატონი ლიზა გველოდება ამ საღამოს. შეუძლოდ ყოფილა, წნევას შეუწუხებია. — სიტყვის თქმა არ აცალა ლევანმა ქალს.

— მე სხვა დროს ვინახულებ, დღეს თქვენ წადით მარტო. — თქვა მშვიდად ანუკამ და უცებ ვერ მოითმინა, საყვედური მიაყოლა: — დასტაქარს მეტი სიდარბაისლე გმართებთ. ადამიანების ბედი გაბარიათ, თქვენ კი დაჰქრიხართ გორსა და თბილისს შორის...

— ჩემს თავს რაღაც ამბავია, აღარ მემორჩილება ნებისყოფა, ანუკა...

— სამწუხაროდ, ვერაფერი მრჩეველი ვარ.

— ხვალ, კვირას, საინტერესო მატჩია, გეპატიჟებით სტადიონზე. წავიდეთ, ანუკა, გთხოვთ...

ანუკას გაეღიმა.

— კაცს კარს არ ულებდნენ, ის კი ფანჯრიდან შემოდიოდაო. მე გთხოვეთ, რომ... თქვენ კი სტადიონზე მეპატიჟებით.

— არ გიყვართ ფეხბურთი?

— სტადიონზე არასოდეს ვყოფილვარ, ტელევიზიით მინახავს...

— წავიდეთ, ანუკა...

ანუკას უცბათ შვილთან ლაპარაკი მოაგონდა. რატომღაც ისე ეგონა, რომ აუცილებლად შეხვდებოდა იქ შვილსაც, ჯონდოსაც და მძახალსაც. საოცარმა სურვილმა აიტაცა—წუთიერი ტკივილი მაინც მიეყენებინა მათთვის იმ უძილო ღამეებისათვის, იმ სიმარტოვისათვისაც, დაუმსახურებლად რომ არგუნეს ქმარმაც და შვილმაც გულდალარულ ქალს. სუნთქვა აუჩქარდა, ბოლმა ბურთივით მოუგორდა ყელთან და ლამის ატირებულიყო. ყველაფერი აღსდგა მოგონებაში და თითქოს თავიდან გადაიტანა იმ წუთში.

— სტადიონზე წამოვალ... ქალბატონი ლიზა მომიკითხეთ, აუცილებლად ვნახავ. ახლა კი ნახვამდის, ხვალამდე!

— ხვალამდე, ანუკა! ქალბატონ ლიზას მოკითხვას გადავცემ... მე იმასთან გავრბივარ ახლა. ხვალამდე!..

* * *

კვირას მთელი დღე მღელვარებაში გაატარა ანუკამ. დრო ნელა იწურებოდა და ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა.

„ არასოდეს ვყოფილვარ სტადიონზე და რაღა დღეს... შურისძიებამ ამიტაცა და სულ არ ვფიქრობ იმაზე, რას იფიქრებს ეს კაცი, გათხოვილი ქალი, შვილიშვილის პატრონი, ასე რომ ავმჩატდი... მაგრამ მე ხომ თავისუფალი ვარ, ქმარმა მიმატოვა, სხვა ქალს დაუკავშირა თავისი ცხოვრება, განა არა მაქვს უფლება, მეც...“

„როგორ შეხვდება ამას ბადრი? განა როდესმე უფიქრია, მისი დედა, შესაძლოა შეუყვარდეს სხვა კაცს?...“

„ვუყვარვარ კი?!“

კედლის საათმა ხუთჯერ ჩამოჰკრა. ამ ხმამ თითქოს გამოარკვია ანუკა. ის ცოტახანს კიდევ ყოყმანობდა, მერე უცებ წამოიჭრა ტახტიდან, საძინებელ ოთახში გაიქცა და წასასვლელად მზადებას შეუდგა. ანაზდად ფანჯრიდან გაიხედა ქუჩაში და ნაცნობ მანქანას რომ მოჰკრა თვალი, ყმაწვილი ქალივით აფორიაქდა, ჩანთას წამოავლო ხელი და კიბეები სწრაფად ჩაირბინა.

ლევანი სადარბაზოსთან ელოდებოდა.

— როგორ არის ქალბატონი ლიზა?

— უკეთ. გუშინ ექიმი მყავდა მასთან. წნევამ დაუწია.

— ხომ არ გვაგვიანდება?

— დრო საკმარისი გვაქვს. მანქანას მივიყვანთ სანაპიროზე, იქიდან ფეხით მივალთ სტადიონზე. — ლევანი უცებ გაჩუმდა, ანუკას შეხედა და ხმადაბლა ჩაულაპარაკა: — რა ლამაზი ხართ დღეს... როგორ გიხდებათ ეგ კაბა...

ანუკა გადაჩვეული იყო ქათინაურებს, ეუხერხულა ლევანის ნათქვამი.

— ნუ მელაპარაკებით ასე, მე... მე ბებია ვარ...

— ვიცი, ყველაფერი ვიცი, ანუკა... ყველაფერი...

ანუკამ გაოცებით შეხედა, მაგრამ არაფერი უკითხავს. მიხვდა, ლევანი სიმართლეს ამბობდა და უხმოდ ჩაჯდა მანქანაში.

...სტადიონის გრანდიოზულობამ და მონუმენტურობამ განაცვიფრა ქალი.

— რა დიდებულია, ჭეშმარიტად დიდებული! — იმეორებდა თავისთვის.

როცა ადგილებზე დასხდნენ და ზღვა ხალხს თვალი შეავლო ანუკამ, მაშინვე გაიაზრა, რომ ასეთ ადგილას მხოლოდ საგანგებოდ თუ შეხვდებოდნენ ადამიანები ერთმანეთს, და, მაშასადამე, მისი ვარაუდი ფუჭი იყო.

„აბა რაღას მოვედი აქ, მე ხომ სრულებით არ მაინტერესებს ეს ფეხბურთი“. — გულისწყრომით გაიფიქრა ანუკამ და პროგრამას დააჩერდა.

დაიწყო მატჩი. პირველი წუთებიდანვე თამაში მძაფრად მიმდინარეობდა. რამდენიმე ათეული ათასი მაყურებელი გატაცებით ადევნებდა თვალს ფეხბურთელთა ასპარეზობას.

— გოლია! ჩვენებმა გაიტანეს! — იქუხა ერთბაშად სტადიონმა. ატყდა ყურისწამღები ტაში, სტვენა, აღფრთოვანებული შეძახილები.

ტაშს უკრავდა ანუკაც. ის თითქოს შეერწყა საერთო განწყობილებას და ახლა სხვა აღარაფერზე ფიქრობდა.

და უცებ, გეგონებოდათ ვინმემ ისრებით განგმირაო, ღიმილი ტუჩებზე გაეყინა და მონუსხულივით წინა რიგებს მიაჩერდა.

ორი წყვილი თვალი მისკენ იყო მოჩერებული. ეს ჯონდო და ბადრი იყვნენ. მათ ირმას მამაც გვერდით უჯდათ, მაგრამ ის თამაშით გართულიყო და სტადიონისკენ იცქირებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ფერი დაგედო, ანუკა, რა მოხდა? ცუდად შეიქენი? — შეწუხდა ლევანი.

— წავიდეთ აქედან, გემუდარებით... ოღონდაც ახლავე...

— შვილი დაინახეთ იქ, თუ... — უკვე მანქანაში ჰკითხა ლევანმა.

— ორივენი, ჩვენს წინ ისხდნენ რამდენიმე რიგით წინ...

—წავიდეთ ანუკა, გორში. ჩვენები ისე ელოდებიან შენს ჩამოსვლას.

— თქვენ გგონიათ, შემეშინდა მათი? — თვალებად იქცა აღელვებული ქალი.

— წავიდეთ გორში, ნუღარ დაბრუნდები იმ სახლში, ანუკა...

— რა ძალა გადგათ, რომ ორმოცი წლის ქალს...

— სიყვარული, შენ ეს თვითონაც იცი...

— შინ წამიყვანეთ.

— იქნებ, ქალბატონ ლიზასთან მისულიყავით?

— შინ, ახლა მხოლოდ შინ მინდა ყოფნა... მარტოს...

სახლამდე ისე მივიდნენ არცერთს კრინტი არ დაუძრავს.

— ამოვალ, ანუკა...

— სადარბაზოსთან რომ ყმაწვილი დგას, ჩემი შვილია.

— აქ დაგიცდი, ანუკა.

—არა, არა! წადი. სულ წადი. ასე სჯობს ორივესთვის. მაპატიე ლევან!

ანუკა ნელი ნაბიჯით გაემართა შვილისკენ. რომ მიუახლოვდა, მხარზე ხელი მოუთათუნა და სადარბაზოში შევიდა.

შვილი ფეხდაფეხ გამოჰყვა. შინ რომ ავიდნენ, პირდაპირ უთხრა:

— სტადიონზე გნახე.

— მეც.

— რატომ წამოხვედი? მანქანით ყოფილხარ, რა გეჩქარებოდა?

— შენ რალასთვის გამოქცეულხარ? მოგენატრე, თუ ახსნა-განმარტების ჩამორთმევა გეჩქარებოდა?

შვილი უხერხულად შეიშმუშნა და ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

— ძალიან გიხდება ეგ კაბა.

— სხვამაც მითხრა.

— ვინ, იმან? — აენთო ბადრი.

— იმას სახელი და გვარი აქვს.

— არ მაინტერესებს მე მისი სახელი და გვარი, არ მაინტერესებს, არ თქვა, არ მინდა, გესმის?

— ოღონდაც ნუ მიყვირი. მე დედა ვარ შენი...

— მაპატიე, დედა... — ბადრი მოეხვია ანუკას და ლოყაზე აკოცა.— ყველაფერი მესმის, ეს მარტოობის ბრალია, რომ შენ... შენ არ გიღალატნია ჩვენთვის, ხომ ასეა, დედა? მორჩა, შენ აღარ იქნები მარტო. ამაღამვე გადმოვალთ შენთან მე და ირმა. ამიერიდან სულ ერთად ვიქნებით. შენ მიატოვებ სამსახურს, გაერთობი შენს შვილიშვილებთან...

— ეს ვისი გადაწყვეტილებაა — შენი, თუ მამაშენისა? — ცრემლები მოაწვა თვალებზე ანუკას. — როგორ გემუდარებოდი მაშინ, მამაშენმა რომ მიმატოვა, სულ მარტო რომ დავრჩი, გადმოსულიყავით შენ და ირმა ჩემთან, მაგრამ ჩემი ტკივილი არცერთმა არ გაიზიარეთ...

— ეს მაშინ იყო დედა, ახლა ყველაფერს მივხვდი, მაპატიე... მამა დამპირდა დახმარებას, ცოტას სიმამრიც შეგვეშველება, არ გაგვიჭირდება.

— არა, ეგრე ველარ მოხდება. არ მინდა მამაშენის კმაყოფაზე ვიყო, ჩემი ხელფასიც მყოფნის.

— ო, ვიცი, ამ ბინაში იმ კაცის მოყვანა გინდა! — იყვირა ბადრიმ და გაშმაგებული მიაჩერდა დედას. — მამამ მითხრა, ვინც ბრძანდება, გორში ცხოვრობსო და... მაგრამ ვერ მივართვი, ეს ბინა ჩემია, ჩემი!

— მე კი მეგონა... მართლა მიხვდი ყველაფერს... — მოწყვეტილად ჩაღუნა ანუკამ თავი. „საით ახლა, ლიზასთან? ჩვენებთან?“— გაუელვა გონებაში, საკიდიდან თხელი ლაბადა ჩამოაცურა და უხმაუროდ დატოვა სახლი.



ეროვნული ბიბლიოთეკა



მოსაგონარი

# სიმღერისა და სიკეთისათვის შექმნილი

„პირველად იყო სიმღერა,
გალობა ლამაზხმიანი,
და სიმღერისთვის შეიქმნა
ადამიანი“...

დღეს მისი სიმღერები საოცრად პოპულარულია. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ადრე აკლდა სახელი და დაფასება, — არა! მაგრამ ადრე მაინც მომეტებულად თავად მღეროდა, ან თავის ორ მეგობართან ერთად. ახლა კი სხვები მღერიან სოლოდ, დუეტად, ტრიოდ.

და კიდევ რამდენი ჰქონდა კიდევ სამღერი, საწერი თუ გასანდობი!

სახელი ისეთი მუსიკალური ჰქონდა, — თითქოს სანოტო ხაზებიდან საგანგებოდ ამოეკრიფათ ხუთი ბგერა, ეს ბგერები ასოებად გარდაექმნათ და ერთ აკორდად ჩამოეკრათ: — ინოლა!

გვარიც ზედგამოჭრილი მომღერლისა ჰქონდა, პოეტისა თუ მომღერლისა: — გურგულია. გული მეგრულად გულს ნიშნავს. გურგულია კი გულისგულს. სწორედ გულის გულიდან იყო ამონამღერი მისი ყოველი სტრიქონი, ყოველი ნოტი.

ინოლა გურგულია!... დღეს ეს სახელი ბევრისთვის ახლობელი და ძვირფასია.

სულ პირველად, მახსოვს, კინოქრონიკაში მოვუსმინე. კიეველი მაყურებლის წინაშე მღეროდა მეგრულ „ჩელას“. შემდეგ ბევრჯერ შევხვედრივარ მას და მისი ხილვის თუ მოსმენის დროს, ყოველთვის „ჩელა“ ჩამესმოდა ყურში. თვითონაც ჩელასავით მელოდიური და ჰარმონიული იყო, ჩელასავით რთული და ნათელი.

„ატმის ვარდისფერ რტოებს,
ეალერსება ნიავი“...

ინოლას ჰანგს თითქმის სიტყვები არც კი სჭირდებოდა, მაგრამ ტექსტიც იმდენადვე მელოდიური და ფერადოვანი იყო, როგორც მისი მუსიკალური ინტონაცია. მან საკუთარი, მისეული მუსიკალური ფორმა შექმნა და ბოლომდე ერთგული დარჩა მელოდიისა და ჰარმონიისა.

მღეროდა ინოლა გურგულია. მღეროდა სულით ხორცამდე სავსე სიკეთით და სინატიფით, მოლაღურისხმიანი გიტარით და ატმის ვარდისფერი ყვავილივით ალერსიანი ხმით.

მერე სამაია. მე ალბათ სამაიას დავარქმევდი იმ ტრიოს. ცეკვა „სამაია“ ხომ ფრესკიდან გადმოვიდა ჩვენს ქორეოგრაფიაში. თვალდახუჭულს რომ გესმინათ მათი სიმღერისთვის, იტყოდით: — ფრესკებიდან გადმოსულან და, ღვთით მონიჭებული მადლის წყალობით, საკურთხევლის წინ მღერიახო.

ბევრჯერ მიგვიღია მონაწილეობა ტელეგადაცემებში თუ კონცერტებზე და ყოველთვის მიამიტი ბავშვივით მონუსხული, გარე სამყაროსაგან გათიშული და აღტაცებული დავუტოვებივარ მათს სიმღერას. მერე გურამ ფანჯიკიძის „თვალი პატიოსანის“ დადგმისას, კომპოზიტორმა ბიძინა კვერნაძემ სიმღერა დაწერა ჩემთვის. იგივე სიმღერა ფონოგრამაზე უნდა ჩაწერილიყო ინოლას შესრულებით. რამდენჯერმე ვიყავი მასთან შინ. მასწავლიდა სიმღერასა და გიტარის პარტიას. მერიდებოდა, რომ ვაცდენდი ოჯახურ საზრუნავს, მაგრამ ის თვითონ არ მეშვებოდა, ისევ და ისევ მამეორებინებდა. ინოლა სიმღერა იყო. სიმღერისათვის იყო დაბადებული და აკი მღეროდა კიდეც.

მან სპექტაკლისათვის ვერ შექმნა ფონოგრამა. უკვე მოძალებული ჰქონდა სენი და არ მოხერხდა, რომ სტუდიაში მიგვეყვანა. სიმღერა სხვა მომღერალმა შეასრულა სპექტაკლში. მაგრამ სამუდამოდ დამახსომდა მისი მეგობრული ზრუნვა და ამაგი. და ის ამას მაშინაც კი ახერხებდა, როცა თავად უჭირდა.

და მერე უკანასკნელი შეხვედრა სატელევიზიო ჟურნალ „იავნანას“ ჩაწერის დროს. თავის მეგობრებთან ერთად მოვიდა სტუდიაში. გამხდარი, სანთელივით დაღვენთილი. ძნელი იყო მისი ყურება და ჩვენ თავი უხერხულად რომ არ გვეგრძნო, ოხუნჯობდა, მღეროდა, იცინოდა. ჩვენც ვიცინოდით, — ცრემლნარევი სიცილით.

მე განა ასე ბევრი რამ მინდა,
მე განა მსურდა ოდესმე ბევრი,
ღიმილი მინდა, ღიმილი მინდა,
სხვა არაფერი...“

ეს მისი ამონამღერი ჰანგია, მისი ამონაკვნესი სიტყვებია და მეტს არც ითხოვდა, არც სურდა მეტი, ღიმილი სურდა, სიმღერა, სიცოცხლე და სიხარული.

განსაცვიფრებელია მისი უკანასკნელი ლექსი-სიმღერა:

„მაღალო ცაო, მზეო, მიწაო,
მადლობელი ვარ, მადლობელი ვარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მერე: — ლურჯი ვაზისთვის და
სინაზისთვის,
ყველა წამისთვის და წამწამისთვის,
მადლობელი ვარ...
უფრო ქვევით კი: — ალტაცებისთვის,
გატაცებისთვის,
ლექსად ფრენისთვის, ალმაფრენისთვის,
მადლობელი ვარ.
ყველაფრისათვის, რაც მყავს
და მიყვარს,
ვინცა მწადია და მაბადია,
მეგობრისათვის, ნათელი დღისთვის,
მადლობელი ვარ.

ეს ლექსი განსაცვიფრებელია. და განა მარტო არქიტექტონიკით ან გამომგონებლობით? — განსაცვიფრებელია სულის სიმაღლით, აუწონავი სიკეთითა და გაუცვეთავი მადლიერების გრძნობით. ძნელია განწირულ ადამიანს მოთხოვო, ასეთი რამ, ძნელი კი არა, თითქმის შეუძლებელია.

უნებურად შალვა დადიანის მონოლოგი გამახსენდა: „მოდი, სიკვდილო, ნუ მეფერები, ნუ მეხაფაციცებიო“. და თუ ბატონი შალვა, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „კარგა მოწეული“ გახლდათ, ინოლას მისი ნახევარი გზა არ ჰქონდა გავლილი და კიდევ ბევრი რამ ელოდა წინ.

რა დიდი ბუნებისა უნდა იყოს ადამიანი, როგორ უნდა შეძლოს გარდაუვალ, სასტიკ ფაქტზე მაღლა დადგომა, რომ ასე გააბაიბუროს, მიწასთან გაასწოროს სიკვდილი.

ინოლამ ეს შესძლო. მისი ლექსიც და ანდერძიც ამის დასტურია:

„მე თქვენთანა ვარ. ტირილით ნუ გამიხსენებთ. გამიხსენეთ სიმღერით, ღიმილით, ერთმანეთისადმი პატივისცემით, ერთგულებით, სიკეთითა და სიყვარულით. — ეს სიტყვები მშობლებს და ახლობლებს ეკუთვნით. — მე თქვენთანა ვარ. აქა ვარ. უჩინმაჩინის ქუდი მხურავს და არ ვჩანვარ, მაგრამ მაინც თქვენთანა ვარ“. და მერე უშუალოდ შვილებს: — „ჩემო პაწიებო, ჩემო ბაჭიებო, დაიზარდენით სათნონი. კეთილნი, პატიოსანნი, შრომისმოყვარენი და სახელოვანნი. არ შემარცხვინოთ. არ მიდარდოთ. გახსოვდეთ, რომ ქართველები ხართ და ჩემი შვილები. იმღერეთ ჩემი სიმღერები, რომ მუდამ ცოცხალი ვიყო“.

რა უცებ აიტაცა ყველამ ინოლას სიმღერები, სიმღერები, რომლებსაც დაბერება და დაძაბუნება, დავიწყება და სიკვდილი არ უწერია. მღერიან სოლოდ, დუეტად. და კვლავ ვტკბებით მისი პოეტური ნიჭით თუ ჰანგით:

„მეორედ იყო ღიმილი,
მზიანი, ალერსიანი,
და სიკეთისთვის შეიქმნა
და ღიმილისთვის შეიქმნა
და სიმღერისთვის შეიქმნა
ადამიანი“.

აი, როგორი იყო სიკეთის, ღიმილისა და სიმღერისათვის შექმნილი ადამიანი, — ინოლა გურგულია.

ჯემალ მონიავა



ქართველი საზოგადოებრიობა ღრმა პატივისცემით აღნიშნავს გამოჩენილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ბესარიონ ჟღენტის დაბადების 75 წლისთავს.

დიდია ბესარიონ ჟღენტის დამსახურება ქართული კულტურის, ქართული საბჭოთა მწერლობის, ქართული კრიტიკული აზროვნებისა და საერთოდ საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში.

მადლიერი ხალხი არასდროს ივიწყებს თავის ამაგდართ...

# ნიკო ფიროსმანაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჟირაფი



მდიდარი უშვილო, ღარიბი შვილებიანი



ირემი

ირთაჭალის ტურფა



ტახი



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ცისკარი ბალანჩივაძე

ცისკარი ბალანჩივაძე, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ახალგაზრდა სოლისტია. იგი მშვენივრად ფლობს ქორეოგრაფიულ ტექნიკას, მუსიკალური დრამატურგიის პლასტიკური სტილით გამოსახვის უნარს. თავისი პროფესიის დაუფლების გზაზე ცისკარმა ბევრი საინტერესო პარტია შეასრულა, მათგან პირველია მარია (ასაფიევის ბალეტი — „ბახჩისარაის შადრევანი“) — სამშობლოს სევდით შეპყრობილი, ჰარამხანაში გამოკეტილი, მშვენიერი ასული ჩრდილოეთისა. თავის დროზე, გაზეთი „კომუნისტი“ მხურვალედ გამოეხმაურა ცისკარის შესრულებულ ჯულიეტასა და ოფელიას ტრაგიკულ სახეებს; პრესამ შეაქო მისი დებიუტი ირემას როლშიც (დ. თორაძის — „გორდა“): ცისკარმა გამოსახულების სიახლით დაამშვენა „გორდაში“ ჩაქსოვილი ლირიკული და დრამატული პასაჟებით. ეს ბალეტი, იმხანად, ვოლგოგრადელმა მაყურებელმაც იხილა თურმე და აღტაცებული დარჩა. ასევე ჩინებულად იცეკვა ცისკარმა გრიგოლ კილაძის ბალეტ „სინათლესა“ და ქუთაისის საოპერო თეატრის სცენაზე დადგმულ ანდრია ბალანჩივაძის „მთების გულში“.

ცისკარი ბალანჩივაძის ცეკვა კლასიკური ბალეტის საუკეთესო ტრადიციებიდან მომდინარეობს — მასში ტექნიკური და დრამატული ელემენტები ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს: გავიხსენოთ მისი სვანილდა („კოპელია“). ნარნარი, გრაციოზული სვანილდა და მისი ტიკინაც. რაოდენ კონტრასტულია ეს პარტიები! ცისკარმა ხომ ტიკინა-ავტომატის ტექნიკურად ურთულეს ილეთებსაც ჩინებულად გაართვა თავი. მაყურებელს ახსოვს ცისკარის სილვიდა („შოპენიანა“), მისი სინატიფე, მისი რომანტიკული იერი და პოეტურობა.

და, აი, ცისკარი-ჟიზელი!

ადანის ეს უკვდავი ბალეტი პირველად 1841 წელს დაიდგა. პარიზში. დღემდე პარიზში არსებობს ტრადიცია: მოცეკვავეს მხოლოდ ჟიზელის განსახიერების შემდეგ ენიჭება ბალერინას წოდება.

მაყურებელმა და პრესამ გულთბილად მიიღეს ცისკარი-ჟიზელი; „ბალერინა ისე გულშიჩამწვდომად, ისეთი სიმსუბუქითა და ლტოლვით ცეკვავს, თითქოს გამჭვირვალე, ჰაეროვანი არსება არისო“. „ჟიზელის“ ტრაგიკულ ფინალში, ცისკარმა თავისებურად შეასრულა სიგიჟის სცენა; ჯერ მღელვარების გამომსახველი რთული მოძრაობა, შემდეგ კი, თითქოს ქარიშხალმა გაიტაცაო, ელვისებური ტრიალი იწყება. და უფრო მეტი ტრაგიზმით წარმოგვიდგება ჟიზელის არსება, სულიერი ტანჯვით შეშლილი არსება... ჟიზელის პარტიას ცისკარი ასეთივე წარმატებით ასრულებდა ბაქოში, სადაც საგასტროლოდ იყო მიწვეული. აღსანიშნავია, რომ ცისკარი ჩვენი მოძმე დემოკრატიული რესპუბლიკების ბევრ ქალაქშიც იხილეს. ხოლო ჩვენი თეატრის საბალეტო დასის გასტროლებისას, ცისკარი ბალანჩივაძე იაპონიის მრავალ ქალაქში წარსდგა მოცარტის თემაზე შექმნილ შოპენის ვარიაციებში (დადგმა გიორგი ალექსიძისა).

ახალგაზრდა მოცეკვავეს განსაკუთრებული პატივი ხვდა წილად: იგი დიდი თეატრის საბალეტო ჯგუფთან ერთად იყო საგასტროლოდ კანადასა და ბრაზილიაში.

ცისკარი ბალანჩივაძე თავდადებულად შრომობს და ილვწის, რათა ესთეტიკური სიამოვნება მიანიჭოს ხალხს.

ნიკოლოზ დადიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორის ჩხეიძე

# ფერეიდნელები ვაზისუბანში

ნარკვევი

ზამთრის გასვლასა და გაზაფხულის მოძალებას თბილისის შემოგარენს ვაზიანთან შეატყობთ. ყანები შემწვანებულან. ქარაფებზე ცხვრის ფარები ძოვენ. მაღლად დაფრინავენ ყვავები, ჭრიალებენ აჭრელებული ჩხიკვ-კაჭკაჭები, ყურს მოგწვდებათ სადღაც ჩამალული მწყერჩიტებისა და ბელურების ჟივჟივი. ცის ამ მხიარულ მომღერლებს უერთდება ლოქინღელის ხუვილ-ჩხრიალი. ჰო და, თუ კი ადამიანს ბუნების სიყვარული ოდნავ მაინც თან დაგყვა, სიამისა და ალტაცებისათვის, ჭეშმარიტად, მეტი არა გინდა რა.

ცისა და მინდვრებისათვის ტყესაც აუბამს მხარი. ხელოვნურად გაშენებულ სამგორის მცირეტანა „ტევრს" კვირტები დამსხვილებია. ტაფობში თეთრად აფეთქებულან ტყემლები. ოქრუა ყვავილებით შემოსილ ცოცხალ რტოებს ხელივით გიშვერენ შვინდები, სიცივით გამკრთალებული სიმწვანე გახასხასებიათ წიწოვნებს.

ფერეიდნელების ნახვის მსურველს ასე, ამ გზით გაგიყვანთ ქალაქი თავისი საზღვრის გარეთ და ჯანლონესაც დაგილოცავთ.

დიახ, მიგეჩქარებათ ფერეიდნელებთან. ხუმრობა ხომ არ არის სამასი წლით მოწყვეტილი თვისტომი ნახოთ, მაგრამ ჯერ მოთმინება იქონიეთ, მათთანაც მიხვალთ. ამაოდ კი არ დაუსახლებიათ ისინი საქართველოს იმ სახელოვან, ულამაზეს მხარეში — კახეთში. ამიტომ მოდით და ისევ გზას ნუ მოაშორებთ თვალს. ის ხომ ფერეიდნელებმაც გაიარეს სამასი წლის შემდეგ თბილისიდან თავიანთ ახლანდელ სამოსახლომდე.

აგერ, ტყის თავთან, უჯარმა-სიონის გასახვევთან სართიჭალა-ქვაკაცას ვრცელი ველი დაიწყო და მდინარემდე გაფენილა. ერთ ადგილას, გზატკეცილიდან მოშორებით, ცას ალის სვეტი ელამუნება. სართიჭალა-ქვაკაცას საყანეებზე უეცრად ასვეტილი ალი ჩაუქრობლად იხედება დღისითაც და ღამითაც.

ამ საყანეებში სამგორის წიაღში გეოლოგებმა ნავთობს მიაგნეს. ცეცხლის სვეტიც ამას ანიშნებს გამვლელ-გამომვლელს. მინდვრის დასალიერზე მდინარე იორის კალაპოტი მორიალებულა. წინათ, ამ დროს, მარტ-აპრილში ნაპირებიდან ამოვარდნილი იორი ზღვასავით საშიში იყო. ახლა იგი წყალნაკლულია. მთის დიდგულა მდინარე თავს ველარავის აწონებს წყალუხვობით. სხვა უფრო „საპატიო გადაწყვეტილება" მიუღია — მორწყოს სამშობლოს ველ-მინდვრები, ამრავლოს საქონელი, ახაროს ბაღჩა-ბაღები, დადგას ჭირნახულის ხვავები.

თავის სამდინარო აუზში იორს ორი დიდზე დიდი წყალსაცავი აუვსია. ერთი მათგანი სოფელ სიონთან მდებარეობს, კავკასიონის ძირზე. ეს წყალსაცავი ნამით აცოცხლებს ზედა სამგორს, ალბობს მშრალ გოროხებს, ჩაუდის მშრალ ხევხუვებს, დაბოლოს, წყლით ავსებს თბილისის ზღვას.

მეორე, არანაკლები წყალსაცავი, ლურჯად ლივლივებს საგარეჯოს ბოლოზე. ზედა სამგორის წყალსაცავისებრ ის უფრო მეტ ფართობს ალბობს ივრისპირეთში, მოსდებია გარეკახეთის ვენახებსა და საძოვრებს. მერე კი, არხების ბოლოებით, კახეთის აღმოსავლეთ-სამხრეთით, მეზობელი რესპუბლიკის სოფლებსაც მისდგომია და გემრიელი, წმინდა წყლით უმასპინძლდება აზერბაიჯანელებს. კახელებს წყალი კი არა, ღვინო არ ენანებათ მოყვასისათვის.

ქვედა სამგორის წყალსაცავის არტერიები უხვად რწყავენ საგარეჯოს რაიონის ვენახებს, ბაღებს. საჭირნახულე მიწებს ხომ თქმაც აღარ უნდა. საგარეჯოსა და იმის მახლობელ სოფლებში ყვავის ტყემლები. გარგლები, ალუჩები, შვინდები. მათ გასჯიბრებიან ატმები.

პირველად იქ, საგარეჯოში შეხვდებით დიდსა და პატარა ფერეიდნელ ქართველებს. გარეგნულად მათ ადგილობრივებისაგან ვერ გამოიცნობთ. ქართული ენა და ზნეობაც დიდებულად შეუნახავთ. მაჰმადიანობა, რა ვქნათ, მიუღიათ, მაგრამ სამშობლო საქართველოს ყოველ წუთს მოსაგონებლად, პურს ქალები ჯვარს უკეთებდნენ.

— კმარათქო! — ახლა კი შესძახეთ თავს. საგარეჯოს, თელავის, ახმეტის, ყვარლის, სიღნაღის, ლაგოდეხის, წითელწყაროს სიმშვენიერეთა აღწერას, ხატვას აბა ვინ მორევია და ვინ მოერევა! იხილეთ მშვენიერი მელაანბარჯისხევი, ჭოტორის მუხნარი, შიგაკახეთის ცალკეული წალკოტები, გალმა საჯიხვეთი კავკასიონი, ალაზანი მისი შენაკადებით, ულრანი ტყეებით, ალაზნის არხი, მალე მთელ კახეთს რომ ააყვავებს და ზვრებად აქცევს შირაქს, კახეთის წინა და უკანა მხარეს.

— თუ ასეთ მოწყობილ, მშვენიერ ქვეყანაში ვერ იცხოვრებს კაცი, მაშ სადღა იცხოვროს? — უკითხავს ერთხელ ერთ ფერეიდნელს, როცა აქაური მიწა და სარწყავი არხების ქსელი დაუნახავს.

ამ საცხოვრებელში იქნევენ თავიანთ მარჯვენას ახლა უკვე ჩვენი ფერეიდნელები. მაშ აქ წარმოდგენილი სურათების ახლოს ნახვა ნურავის დაეზარება. ძველი დრო კი აღარ არის. ის დალოცვილი ავტობუსი ხომ მანძილს წუთისოფელივით ამოკლებს. იმ შორი გზების დაძლევას, რასაც ჩვენი წინაპრები ერთ თვეს უნდებოდნენ, ახლა ორი-სამი საათი ჰყოფნის.

გზაც შეცვლილა. ძალიანაც რომ მოინდომოთ გზად ველარ შეეყრებით ყვარლიდან, საბუედან, გრემიდან, ახმეტიდან თბილისისკენ გამომგზავრებულ ღვინით სავსე რუმბებით დაბარგულ-დატვირთულ ურმების ქარავნებს, კოფოებზე მამლებიანი გალიები, რომ დაუდგამთ.

სამშობლოში დაბრუნებული ფერეიდნელების პირველი გაოცების საგანიც ეს იყო.

ფერეიდნელ ყმაწვილებს მეტისმეტად აოცებთ და ახარებთ ჩვენში ტექნიკის სიმრავლე. ვერ ძღებიან ტრაქტორებით ხვნის ცქერით.

აგერ ვაზისუბანი — ძველებური ურიათუბანი. ეს სოფელი საქართველოში ახაშნური წითელი ღვინით განთქმულ სოფელ ახაშენს და მუკუზანს ზედ მიბმია. ის თელავს გასცქერის, თუმცა ადმინისტრაციულად გურჯაანის რაიონში შედის.

ჩვენს ძლიერ ხალხს ვაზისუბანში შეურჩევია ფერეიდნელი ქართველების ერთი ჯგუფისათვის სამოსახლოები. ისინიც მაშინვე შესდგომიან ვენახის, ხეხილის, შინსაყოლიებელის მომრავლებას, სოფლად მეგობარ-მეზობლის დაკავშირებას.

გარდა ვაზისუბნისა, ფერეიდნელების დასახლებებს შეხვდებით საგარეჯოში, ჩუმლაყში, ახაშენში... ახალმოსახლეების მშვენიერ სახლებს და საცხოვრებელ უბნებს თვალის მოკვრითაც იცნობთ.

ფერეიდნელების საცხოვრებელი ბინები და გარემო-ეზოები ლა-

მაზად ჩახატულან კახეთის ზურმუხტოვან პეიზაჟებში. ვაზისუბნის „ერბოსავით მსუქან“, ნოყიერ მიწაზე ახალმოსახლეები კარგ, უხვ მოსავალს იწევენ და გულგასახარელ ცხოვრებას დასწაფებიან.

ვაზისუბანში გეტყვიან: ფერეიდნელ რევაზ (რზა) ონიკაშვილს, გონიერებით ჭარბად შემკულ კაცს, ოჯახის კარგ, თავგზიან მეთაურს იქ დასახლების უმალ პირველს შეუნიშნავს, რომ ჩვენში, ესე იგი, საბჭოთა საქართველოში, მიწა და წყალი ყიდვა-გაყიდვის საგანი არ არის და არც იქნება.

როცა ფერეიდანში სამასიოდე წლის წინათ გადასახლებულ ქართველების შთამომავალთა სანახავად ახლა ვაზისუბანში მიდიხართ, თქმა არ უნდა, სასოფლო საბჭოში იკითხავთ მათთან მისასვლელ გზა-კვალს, თორემ სოფელი დიდია.

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, უმაღლესი განათლებით, ახალგაზრდა საზოგადო მოღვაწე, არჩილ ბრაგვაძე სიამოვნებით მიგაცილებთ ახალმოსახლეების კარმიდამომდე.

ფერეიდნელები დიდი ალაზნის არხის მაგისტრალის ახლოს ცხოვრობენ. სიცხიან ირანში ნაცხოვრებმა ქართველებმა თავიანთ ახლანდელ კახელ მეზობლებზე უკეთ იციან ნამის, სისველის გამოყენება მეურნეობაში.

არჩილ ბრაგვაძეს ახარებს სოფლის სტუმარი. აქვს კიდეც სიხარულის მიზეზი.

— სოფელს სამყოფი მიწა აქვს, — გეტყვით თავმჯდომარე არჩილ ბრაგვაძე, — და ის სულ ჯიშიან ვაზს, განთქმულ რქაწითელსა და საფერავს უკავია. აბა ერთი შეხედეთ!

მართლაც, საითაც კი თვალი მიგიწვდებათ, ძირს, ალაზნისაკენ, იქით-აქეთ გურჯაანსა და თელავის მხარეებზე და უკან გომბორამდე, სულ ზვრებია. მერედა რა მოვლილი! ავ თვალს არ ენახვება. ამ გაზაფხულზე ადრევე გამოუხნავთ მწკრივთაშორის, დაუბარავთ, ნეკები მავთულებზე გაუბამთ. ვაზს „ტირილი“ დაუმთავრებია. ახლა კვირტებს მიხაკისფერ ხოჭოსებრ საფარვლები დასკდომია, გაცვენია, ერთი სიტყვით, საცაა კვირტი გაიშლება.

მორჩება თუ არა სოფლის სანახაოებების ჩვენებას არჩილ ბრაგვაძე გეტყვით:

— ადვილი შესაძლებელია რევაზ ონიკაშვილი შინ არ იყოს. ეს უკვე გაჩვენებურებული ფერეიდნელი მეტისმეტად მიეჩვია ზვრებში მუშაობას. ვენახი მას თავის მთავარ საქმედ მიაჩნია. ახლაც უთუოდ იქ იქნება.

ასეთი გაფრთხილების შემდეგ არჩილი სოფლის ქუჩაბანდებით კიდეც მიგიყვანთ რევაზ ონიკაშვილის სახლამდე.

ვინც ღირსია, ის კიდეც შევაქოთ. ვაზისუბნელებს ფერეიდნელ ქართველების დასასახლებლად უყოყმანოდ გამოუყვიათ კოჭლაანთ უბანი. ეს ადგილი სოფელს ზემოდან გადმოსცქერის. დიდი მაგისტრალური საავტომობილო გზიდან ორასიოდე ნაბიჯითაც არ იქნება დაცილებული. კოჭლაანთ უბნის ცარიელები ერთი საუკეთესო ადგილია მთელ სოფელში. ის ადგილია, სადაც სახლის აგება-დასახლება ყოველ ვაზისუბნელს გულით დააქვს, მაგრამ ნურას უკაცრავად! კოჭლაანთ უბანი ვაზისუბნელებმა მხოლოდ ფერეიდნელებს მიჰკერძეს სამოსახლოებად და უთხრეს კიდეც: „აჰა, იცხოვრეთ ამ მოხდენილ ადგილას, მომრავლდით, აღორძინდითო“.

კოჭლაანთ უბანს, იქ დასახლებულ ფერეიდნელებს, ზაფხულობით პირდაპირ გომბორიდან უქნევს ფრთებს ნიავი, კავკასიონიდანაც სწვდება სოფელს სიგრილე. ყურძნის დამატკბობელი და ნეკის, რქის, ლერწის „დამამწიფებელი“ სითბო-სიმხურვალე კი, ამ უბანში, სხვა უბნებზე უკეთესიც არის.

იქ დაინახავთ ბალახით შემოსილ შემაღლებებს. იქვე დგას ასწლიანი კაკლის ხეები, ლელვები, ბროწეულები, აგრე რომ უყვართ ფერეიდნელ მოზარდებს. და, რაღა თქმა უნდა, ყველგან, ყოველი მხრით სოფელს გარს შემორტყმია ზვრები, ვენახები, ბაღჩა-ბაღები. მალე, სულ მალე ამ უბნის ზემოთ გადაკვალული არხი ალაზნის წყლით პირთამდე აივსება. სხვებთან ერთად ამ დღეს ახლადდასახლებულებიც ელიან. ადრეც ხომ ვთქვით, ფერეიდანში ნაცხოვრებმა ადამიანებმა კარგად იციან სარწყავი წყლის ფასი.

ახლადდასახლებულები საგრძნობლად მოშინაურებულან ახალ ადგილზე, ადამიანებთან ახალ ურთიერთობაში. ყველგან, სადაც კი სახლობენ, მწკრივში, ერთ ხაზზე უდგათ აგურის ორსართულიანი, ლამაზ, მკვიდრჭიშკრიანი სახლები.

ერთ ამისთანა მოხდენილ, კოხტა, სუფთა, ეზოშემოკავებულ სახლში ცხოვრობენ თავიანთი შვიდი შვილით რევაზ და ჯამილა (ოსელიანის ქალი) ონიკაშვილები.

ხანდახან, დასვენების ჟამს ან შესაფერ ამინდში, ცოლი და ქმარი თავიანთი უკვე წამოზრდილი შვილებით, მეორე სართულის აივანზე იყრიან თავს. იქიდან გასცქერიან დაბლა გაშენებულ სოფელს, ვენახებს, დიდ საავტომობილო გზატკეცილს, მთელ ალაზნის ველს და გალმით დიდი კავკასიონის მთაგრეხილს.

საბჭოს თავმჯდომარის ეჭვი გამართლდა.

— ჩემი რევაზი შინ არ გახლავთ — მოხათრებით გამცნობთ ჯამილა, — მერე რა, რომ შინ არ არის, აქვეა, სოფელში. ზემოთ, ზვარში წავიდა სამუშაოდ. ახლავე ამბავს მივაწვდენ და აქ ჩამოსვლა არ გაუჭირდება, „მოსკვიჩით“ არის გასული.

— საქმე კი არ შეუფერხდეს! — ვეუბნებით ჯამილას.

— საგაზაფხულო, მიწის მძიმე სამუშაოები დამთავრებულია, — მოგიგებთ ქალი.— შინ შემობრძანდით, ზედა აივნიდან ბევრი კარგი რამ არის სანახავი. მალე რევაზიც გეახლებათ.

თქვენც ფეხს შედგამთ კიბის საფეხურზე, იმისთანა მოხდენილ აივანზე ასვლაზე უარს როგორ იტყვით. დიასახლისიც წინ მიგიძღვით.

ჯამილა საშუალო ტანადობის, ოდნავ შეხნიერებული, ცქვიტი მიხვრა-მოხვრის ბრძენი მანდილოსანია. მაღლა, აივანზე ასვლის უმალ ის თქვენს ყურადღებას თავის კარ-მიდამოს მიაქცევს.

აივნიდან მთლად მოჩანს ის ნახევარი ჰექტარი „ერბოსავით მსუქანი“ ვაზისუბნური მიწა, რაზეც ორსართულიანი სახლი დგას. მას მხარს უმშვენებს საკმაოდ მოზრდილი, ბანიანი სამზადი და სხვა მცირე და მოზრდილი შენობები.

სახლის გარშემო ხეხილის ბაღი გაუშენებიათ. იქვეა ვენახი, რომელშიც მწკრივთა შორის მიწის მოსახნავად მეზობელს წითელი იაბო გაუბამს.

როცა ეზო-მიდამოს დათვალიერებით გულს შეიჯერებთ, ჯამილა ბინის ყველა კარს გაგიღებთ. თქვენ ნახავთ, რომ ყოველ ოთახში კედლები და იატაკი ხალიჩებით და ნოხებით არის დამშვენებული.

ნოხები და ხალიჩები ჯამილას ნაქსოვ-ნახელავია. მათს მოხატულობას ქართული იერი დაჰკრავს. და გიხარიათ, რომ სამასი წლის წინათ ჩვენი წინაპრების ნათვალთვალევი ფერები და სახეები არ დაკარგულა. ამ საოცარმა მანდილოსანმა ისინი, როგორც ჩვენი ტკბილი ქართული ენა და საუბრის კილო, კვლავ ჩვენამდე მოიტანა.

ჯამილას თავისი გულმკერდით გამოზრდილი რვა შვილი ჰყავს. შვიდი მათგანი, ზოგი დავაჟკაცებული, ზოგი დაქალებული შორეული ირანის პროვინციიდან ვაზისუბანში თან მოიყვანა. რვაში პირველთაგანი კი, ქალი, სახელად ფარანგა, ფერეიდანში გაუთხოვებია.

ვინ არ გაიხარებდა ჯამილას აღზრდილ, პატრიოტული სულით და გულით გასხივოსნებული ქალიშვილით? რომელი ვაჟკაცი არ იამაყებდა ჯამილასებრი თანამგზავრით? და რევაზ ონიკაშვილი დიახაც, ამაყობს თავისი მეუღლით.

აგერ, ოჯახის მეთაურიც შინ დაბრუნდა.

ნაშუადღევია. მარტია და ჯერ ისევ ცივა. ქმარი რომ მანქანას ფარდულში აყენებს, ჯამილა იხვებს, ქათმებს, სხვა საყოლიებელს უვლის. მალე ბავშვებიც დაბრუნდებიან სკოლიდან.

რევაზი ჯერ სახლის აივანზე სტუმრებთან ერთად სკამზე ჩამოჯდება, ცოტას დაისვენებს, ამოისუნთქავს, მერე კი, თითქოს ვაზისუბანში დაბადებული და აღზრდილი იყოს, ისე მოგიყვებათ ამბებს... კარგი თებერვალ-მარტი დაიჭირა და ვენახები, ბაღები, საბოსტნეები დროით დაუმუშავებიათ ვაზისუბნელებს. ახლა სხვა სამუშაოები მომდგარა კარს. გასახარია, რომ ვერც საუბრით, ვერც გარეგნობით რევაზსა და მის შინაურებს ვაზისუბნელებიდან ვერ გაარჩევთ.

— რევაზ, ჯამილა, რვა შვილი გყავთ და ერთსაც ვერ ვხედავთ შინ. — მიამიტად შეეკითხებით მასპინძლებს.

— ყველანი თავიანთ საქმეზე არიან წასულები, მალე გამოჩნდებიან, — მოგვიგო რევაზმა და მცირე ხნით ეზოში ჩავიდა, ცხენ-გუთნიან მეზობელს, იმას, ვინც ნოთა იაბოთი მწკრივთა შორის ვენახი გამოუხნა, მეზობლურ საქმეზე ლაპარაკი გაუბა. სანამ ის დაბრუნდებოდა, ერთმა მეზობელმა დრო მოიხელთა, რევაზის და ჯამილას შვილების ამბავი მოგვიყვა.

მაზად ჩახატულან კახეთის ზურმუხტოვან პეიზაჟებში. ვაზისუბნის „ერბოსავით მსუქან“, ნოყიერ მიწაზე ახალმოსახლეები კარგ, უხვ მოსავალს იწევენ და გულგასახარელ ცხოვრებას დასწაფებიან.

ვაზისუბანში გეტყვიან: ფერეიდნელ რევაზ (რზა) ონიკაშვილს, გონიერებით ჭარბად შემკულ კაცს, ოჯახის კარგ, თავგზიან მეთაურს იქ დასახლების უმალ პირველს შეუნიშნავს, რომ ჩვენში, ესე იგი, საბჭოთა საქართველოში, მიწა და წყალი ყიდვა-გაყიდვის საგანი არ არის და არც იქნება.

როცა ფერეიდანში სამასიოდე წლის წინათ გადასახლებულ ქართველების შთამომავალთა სანახავად ახლა ვაზისუბანში მიდიხართ, თქმა არ უნდა, სასოფლო საბჭოში იკითხავთ მათთან მისასვლელ გზა-კვალს, თორემ სოფელი დიდია.

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, უმაღლესი განათლებით, ახალგაზრდა საზოგადო მოღვაწე, არჩილ ბრაგვაძე სიამოვნებით მიგაცილებთ ახალმოსახლეების კარმიდამომდე.

ფერეიდნელები დიდი ალაზნის არხის მაგისტრალის ახლოს ცხოვრობენ. სიცხიან ირანში ნაცხოვრებმა ქართველებმა თავიანთ ახლანდელ კახელ მეზობლებზე უკეთ იციან ნამის, სისველის გამოყენება მეურნეობაში.

არჩილ ბრაგვაძეს ახარებს სოფლის სტუმარი. აქვს კიდეც სიხარულის მიზეზი.

— სოფელს სამყოფი მიწა აქვს, — გეტყვით თავმჯდომარე არჩილ ბრაგვაძე, — და ის სულ ჯიშიან ვაზს, განთქმულ რქაწითელსა და საფერავს უკავია. აბა ერთი შეხედეთ!

მართლაც, საითაც კი თვალი მიგიწვდებათ, ძირს, ალაზნისაკენ, იქით-აქეთ გურჯაანსა და თელავის მხარეებზე და უკან გომბორამდე, სულ ზვრებია. მერედა რა მოვლილი! ავ თვალს არ ენახვება. ამ გაზაფხულზე ადრევე გამოუხნავთ მწკრივთაშორის, დაუბარავთ, ნეკები მავთულებზე გაუბამთ. ვაზს „ტირილი“ დაუმთავრებია. ახლა კვირტებს მიხაკისფერ ხოჭოსებრ საფარვლები დასკდომია, გაცვენია, ერთი სიტყვით, საცაა კვირტი გაიშლება.

მორჩება თუ არა სოფლის სანახაოებების ჩვენებას არჩილ ბრაგვაძე გეტყვით:

— ადვილი შესაძლებელია რევაზ ონიკაშვილი შინ არ იყოს. ეს უკვე გაჩვენებურებული ფერეიდნელი მეტისმეტად მიეჩვია ზვრებში მუშაობას. ვენახი მას თავის მთავარ საქმედ მიაჩნია. ახლაც უთუოდ იქ იქნება.

ასეთი გაფრთხილების შემდეგ არჩილი სოფლის ქუჩაბანდებით კიდეც მიგიყვანთ რევაზ ონიკაშვილის სახლამდე.

ვინც ღირსია, ის კიდეც შევაქოთ. ვაზისუბნელებს ფერეიდნელ ქართველების დასასახლებლად უყოყმანოდ გამოუყვიათ კოჭლაანთ უბანი. ეს ადგილი სოფელს ზემოდან გადმოსცქერის. დიდი მაგისტრალური საავტომობილო გზიდან ორასიოდე ნაბიჯითაც არ იქნება დაცილებული. კოჭლაანთ უბნის ცარიელები ერთი საუკეთესო ადგილია მთელ სოფელში. ის ადგილია, სადაც სახლის აგება-დასახლება ყოველ ვაზისუბნელს გულით დააქვს, მაგრამ ნურას უკაცრავად! კოჭლაანთ უბანი ვაზისუბნელებმა მხოლოდ ფერეიდნელებს მიჰკერძეს სამოსახლოებად და უთხრეს კიდეც: „აჰა, იცხოვრეთ ამ მოხდენილ ადგილას, მომრავლდით, აღორძინდითო“.

კოჭლაანთ უბანს, იქ დასახლებულ ფერეიდნელებს, ზაფხულობით პირდაპირ გომბორიდან უქნევს ფრთებს ნიავი, კავკასიონიდანაც სწვდება სოფელს სიგრილე. ყურძნის დამატკბობელი და ნეკის, რქის, ლერწის „დამამწიფებელი“ სითბო-სიმხურვალე კი, ამ უბანში, სხვა უბნებზე უკეთესიც არის.

იქ დაინახავთ ბალახით შემოსილ შემაღლებებს. იქვე დგას ასწლიანი კაკლის ხეები, ლეღვები, ბროწეულები, აგრე რომ უყვართ ფერეიდნელ მოზარდებს. და, რაღა თქმა უნდა, ყველგან, ყოველი მხრით სოფელს გარს შემორტყმია ზვრები, ვენახები, ბაღჩა-ბაღები. მალე, სულ მალე ამ უბნის ზემოთ გადაკვალული არხი ალაზნის წყლით პირთამდე აივსება. სხვებთან ერთად ამ დღეს ახლადდასახლებულებიც ელიან. ადრეც ხომ ვთქვით, ფერეიდანში ნაცხოვრებმა ადამიანებმა კარგად იციან სარწყავი წყლის ფასი.

ახლადდასახლებულები საგრძნობლად მოშინაურებულან ახალ ადგილზე, ადამიანებთან ახალ ურთიერთობაში. ყველგან, სადაც კი სახლობენ, მწკრივში, ერთ ხაზზე უდგათ აგურის ორსართულიანი, ლამაზ, მკვიდრჰიშკრიანი სახლები.



ერთ ამისთანა მოხდენილ, კოხტა, სუფთა, ეზოშემოკავებულ სახლში ცხოვრობენ თავიანთი შვიდი შვილით რევაზ და ჯამილა (იოსელიანის ქალი) ონიკაშვილები.

ხანდახან, დასვენების ჟამს ან შესაფერ ამინდში, ცოლი და ქმარი თავიანთი უკვე წამოზრდილი შვილებით, მეორე სართულის აივანზე იყრიან თავს. იქიდან გასცქერიან დაბლა გაშენებულ სოფელს, ვენახებს, დიდ საავტომობილო გზატკეცილს, მთელ ალაზნის ველს და გაღმით დიდი კავკასიონის მთაგრეხილს.

საბჭოს თავმჯდომარის ეჭვი გამართლდა.

— ჩემი რევაზი შინ არ გახლავთ — მოხათრებით გამცნობთ ჯამილა, — მერე რა, რომ შინ არ არის, აქვეა, სოფელში. ზემოთ, ზვარში წავიდა სამუშაოდ. ახლავე ამბავს მივაწვდენ და აქ ჩამოსვლა არ გაუჭირდება, „მოსკვიჩით“ არის გასული.

— საქმე კი არ შეუფერხდეს! — ვეუბნებით ჯამილას.

— საგაზაფხულო, მიწის მძიმე სამუშაოები დამთავრებულია, — მოგიგებთ ქალი.—შინ შემობრძანდით, ზედა აივნიდან ბევრი კარგი რამ არის სანახავი. მალე რევაზიც გეახლებათ.

თქვენც ფეხს შედგამთ კიბის საფეხურზე, იმისთანა მოხდენილ აივანზე ასვლაზე უარს როგორ იტყვით. დიასახლისიც წინ მიგიძღვით.

ჯამილა საშუალო ტანადობის, ოდნავ შეხნიერებული, ცქვიტი მიხვრა-მოხვრის ბრძენი მანდილოსანია. მაღლა, აივანზე ასვლის უმალ ის თქვენს ყურადღებას თავის კარ-მიდამოს მიაქცევს.

აივნიდან მთლად მოჩანს ის ნახევარი ჰექტარი „ერბოსავით მსუქანი“ ვაზისუბნური მიწა, რაზეც ორსართულიანი სახლი დგას. მას მხარს უმშვენებს საკმაოდ მოზრდილი, ბანიანი სამზადი და სხვა მცირე და მოზრდილი შენობები.

სახლის გარშემო ხეხილის ბაღი გაუშენებიათ. იქვეა ვენახი, რომელშიც მწკრივთა შორის მიწის მოსახნავად მეზობელს წითელი იაბო გაუბამს.

როცა ეზო-მიდამოს დათვალიერებით გულს შეიჯერებთ, ჯამილა ბინის ყველა კარს გაგიღებთ. თქვენ ნახავთ, რომ ყოველ ოთახში კედლები და იატაკი ხალიჩებით და ნოხებით არის დამშვენებული.

ნოხები და ხალიჩები ჯამილას ნაქსოვ-ნახელავია. მათს მოხატულობას ქართული იერი დაჰკრავს. და გიხარიათ, რომ სამასი წლის წინათ ჩვენი წინაპრების ნათვალთვალევი ფერები და სახეები არ დაკარგულა. ამ საოცარმა მანდილოსანმა ისინი, როგორც ჩვენი ტკბილი ქართული ენა და საუბრის კილო, კვლავ ჩვენამდე მოიტანა.

ჯამილას თავისი გულმკერდით გამოზრდილი რვა შვილი ჰყავს. შვიდი მათგანი, ზოგი დავაჟკაცებული, ზოგი დაქალებული შორეული ირანის პროვინციიდან ვაზისუბანში თან მოიყვანა. რვაში პირველთაგანი კი, ქალი, სახელად ფარანგა, ფერეიდანში გაუთხოვებია.

ვინ არ გაიხარებდა ჯამილას აღზრდილ, პატრიოტული სულით და გულით გასხივოსნებული ქალიშვილით? რომელი ვაჟკაცი არ იამაყებდა ჯამილასებრი თანამგზავრით? და რევაზ ონიკაშვილი დიახაც, ამაყობს თავისი მეუღლით.

აგერ, ოჯახის მეთაურიც შინ დაბრუნდა.

ნაშუადღევია. მარტია და ჯერ ისევ ცივა. ქმარი რომ მანქანას ფარდულში აყენებს, ჯამილა იხვებს, ქათმებს, სხვა საყოლიებელს უვლის. მალე ბავშვებიც დაბრუნდებიან სკოლიდან.

რევაზი ჯერ სახლის აივანზე სტუმრებთან ერთად სკამზე ჩამოჯდება, ცოტას დაისვენებს, ამოისუნთქავს, მერე კი, თითქოს ვაზისუბანში დაბადებული და აღზრდილი იყოს, ისე მოგიყვებათ ამბებს... კარგი თებერვალ-მარტი დაიჭირა და ვენახები, ბაღები, საბოსტნეები დროით დაუმუშავებიათ ვაზისუბნელებს. ახლა სხვა სამუშაოები მომდგარა კარს. გასახარია, რომ ვერც საუბრით, ვერც გარეგნობით რევაზსა და მის შინაურებს ვაზისუბნელებიდან ვერ გაარჩევთ.

— რევაზ, ჯამილა, რვა შვილი გყავთ და ერთსაც ვერ ვხედავთ შინ. — მიამიტად შეეკითხებით მასპინძლებს.

— ყველანი თავიანთ საქმეზე არიან წასულები, მალე გამოჩნდებიან, — მოგვიგო რევაზმა და მცირე ხნით ეზოში ჩავიდა, ცხენ-გუთნიან მეზობელს, იმას, ვინც ნოთა იაბოთი მწკრივთა შორის ვენახი გამოუხნა, მეზობლურ საქმეზე ლაპარაკი გაუბა. სანამ ის დაბრუნდებოდა, ერთმა მეზობელმა დრო მოიხელთა, რევაზის და ჯამილას შვილების ამბავი მოგვიყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ფარანგა, ჩვენი მასპინძლის ქალიშვილი, ვაზისუბანში არავის უნახავს, — ამბობს მეზობელი. — ის ფერეიდანში გაზრდილა და კიდეც გათხოვილა იქ. რევაზისა და ჯამილას სხვა შვიდი შვილი, აქ, ვაზისუბანში არიან. მე მათ ყველას ვიცნობ. სწორედ ისეთი გამგონე და მეცადინე შვილები უნდა ჰყავდეს დედ-მამას. მშობლების ამაგს ხედავენ. თავიანთი თავის ცხოვრებაში გამოსაყვანად თვითონ ირჯებიან. — აქ მეზობელი ცდილობს ცალ ცალკეც წარმოგიდგინოთ ყველა. — უფროსი, — განაგრძობს ის, — ასლანი (ხასანი) ოცდაექვსი წლისა გახდება. შნოიანი ყმაწვილია. სანიმუშო უნარი, შესაშური ნიჭი გამოიჩინა სწავლაში. საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში შევიდა, მეოთხე კურსზე გადადის. იქნება აქ ექიმად დაგვიბრუნდეს და აბა ამას რა სჯობია.

უფროს ძმას უმცროსმა დამ, თამარმა მიბაძა. ისიც თბილისშია და სამედიცინო ტექნიკუმში სწავლობს. ორ უფროსს, დასა და ძმას, ასლანსა და თამარს მათი მომდევნო ალიკა (ალი) ოდნავადაც არ ჩამორჩენია, უფროსების კვალს გაჰყოლია, იურიდიულ მეცნიერებას დასწაფებია თბილისის უნივერსიტეტში. ჯერჯერობით შინ, ვაზისუბანში მშობლებთან უმცროსები არიან. შინ დარჩენილ სამში — უფროსი ვახტანგი (ბახტიარი) საშუალო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლეა. იმავე სკოლის მერვე კლასში სწავლობს ბაგრატი (ბაჰრამი). ამ უფროს ძმებთან ერთად სკოლაში დადის რევაზისა და ჯამილას ნაბოლარა გოგონა სედა (სედიკო), რომელიც მეოთხე კლასში გადასულა. — აქ მეზობელი ეზოსაკენ იხედება და ამბობს:— აი უმცროსებიც!

მეორე სართულზე ამოდიან მარგალიტებივით დაკრიალებული, შავქოჩორები, ბამბასავით პირისკანთეთრები, კოხტად, ჩვენებურად, ჩაცმული შნოიანი ყმაწვილები.

დედამ სკოლიდან დაბრუნებულ შვილებს თვალი გადაავლო, თითქოს დაითვალა, ხომ არავინ აკლიაო. ამას ამჩნევს მეზობელი, ეღიმება და განაგრძობს: — ადამიანს მეტი სიხარული არ უნდა და არცა აქვს, როცა შინ შემოსულ შვილებს ჯანმრთელად ხედავს.

— ჩინებული შვილები გყოლიათ, — ეტყვით თქვენც.

— დედ-მამაც მათთვის ვართ, — სასოებით შენიშნავს რევაზი.— მე და ჩემმა ჯამილამ ბევრი ვიანგარიშეთ, ბევრი ვიფიქრეთ, ბევრი ღამე გავათენეთ იმის რჩევაში, იმაზე თათბირში, სად და როგორ აღგვეზარდა წვრილშვილი. ბევრი ფიქრის შემდეგ დავასკვენით, რომ მხოლოდ ჩვენი წინაპრების სამშობლოში, საქართველოში შევძლებდით მათს საუკეთესოდ აღზრდას. ჩვენ, დედმამა სხეულით ფერეიდანში ვიყავით, სულით, გულით, ოცნებებით კი — აქ, საქართველოში. ახლა ჩვენი ოცნება და აი, ხომ ხედავთ, სამშობლომდე მოვაღწიეთ. თქვენთან ერთად ვშრომობთ ჩვენი წინაპრების მიწა-წყალზე.

— რევაზ, რა ერქვა თქვენს სოფელს იქ, შორეულ ირანში? — კითხულობს ვიღაცა.

— ჩულრუთი! — მიუგებს რეზო.

— ჩულრუთიდან ვაზისუბანში! — ამბობს თავისთვის ვიღაცა.

სკოლიდან დაბრუნებული შვილებიც შეერთებიან აივანზე სამუსაიფოდ შეხვედრილ სტუმარ-მასპინძელს. ყველა ზის, ოცნებას მისცემია. ცოტა მოშორებით მარტო ჯამილა დგას ფეხზე. კდემამოსილად გარინდული, სიხარულით სავსე გულით შესცქერის ქმარსა და შვილებს. აქ ვაზისუბნელი ყმაწვილებიც არიან — ვახტანგის, ბაგრატის, სედას მეგობრები.

მაგრამ ყველაზე ძვირფასი მეგობარი, რომელიც კი მათ შეუძენიათ და გულის მესაიდუმლეთაც გაუხდიათ, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მარინე შაიშმელაშვილია.

ყმაწვილებზე და მათს მეგობრებზე ბევრის დაწერა შეიძლება, სჯობს ნახოთ მათი ერთმანეთთან მოკრძალებული, ნაზი ურთიერთობა.

მაგრამ დღე თითქმის დალეულა. მზე გვემუქრება, მალე გომბორს ამოვეფარები, იმერეთში გავიპარები, იქ ფერეიდნელების ამბავი ვახშმობამდე უნდა მივიტანოო. სტუმრები იჩქარიან. რევაზს და ჯამილას გულწრფელად სურთ პურმარილით გაგვიმასპინძლდნენ. ერთი სული აქვთ გაგატეხინონ, გემოთი გაგასინჯინონ ვაზისუბანში მოყვანილი თბილი „პურის ყუა“ და აქვე, შინ დაყენებული ღვინოც შეგასვან. სტუმრები უარობენ. მაშინ მასპინძლები საყვედურს გამოთქვამენ.



რევაზ და ჯამილა ონიკაშვილები

— რა არის, ახალმოსახლეები ვართ, ჰგონიათ არაფერი გვაქვს, ნაცნობ-მეგობრები გვერიდებიან.—წყენით ამბობს ოჯახის მეთაური რევაზ ონიკაშვილი. — განსაკუთრებით ამას თბილისელი ნაცნობმეგობრები გვიშვრებიან. აი, მაგალითად: — განაგრძობს რევაზი.— მე და ჩემი მეუღლე ლიკანში ვისვენებდით და ვმკურნალობდით. იქ ბევრი კარგი, დარბაისელი ნაცნობი და მეგობარი გავიჩინეთ. გვპირდებოდნენ, აუცილებლად გნახავთ ვაზისუბანშიო. მას მერე თვალი გზისაკენ გვიჭირავს. მაგრამ არა ჩანან, სანატრელი, ტკბილი ნაცნობ-მეგობრები, არსად გამოსცდათ ფეხი აქეთ და აბა საიდან გამოჩნდებოდნენ.

აივანზე მოსაუბრეთა რიცხვი შეთხელებულა, ყმაწვილები გაკვეთილების მოსამზადებლად დამსხდარან. ერთი მათგანისათვის მასწავლებელ მარინე შაიშმელაშვილს საზეპირო მიუცია. ჯამილა ფრინველს აბინავებს. წითელნოთაცხენიანმა მეზობელმა ქვედა სართულში გემრიელად ისადილა და კავ-გუთნის ჭრიხინით, ჰოე-ჰოეს შეძახილებით ჭიშკარი გაიარა. ეჩქარება საბჭოს თავმჯდომარე არჩილ ბრაგვაძესაც.

ქვემოთ რევაზ ონიკაშვილი „მოსკვიჩს“ ქოქავს. რევაზს სურს მეზობელ სოფელ ახაშენში თვითონ ჩაიყვანოს სტუმრები. ახაშენში ირანიდან საქართველოში მასთან ერთად დაბრუნებული და დასახლებული მეზობლები ეგულება. სურს გიჩვენოთ ჯამილას ბალღობის ამხანაგი ხალიჩების და ჭრა-კერვის ოსტატი ჟანა ფანიაშვილი.

წასასვლელად გამოსულ სტუმრებს გამცილებლები არ აკლიათ.

— რევაზო! — აბარებს ჯამილა ქმარს, — სულითა და გულით მომიკითხე ჩემი ჟანა. უთხარი, ერთი სული მაქვს როდის ვნახავთ ერთმანეთსათქო.

— ვეტყვი, ჰო! — უქნევს თავს ქმარი.

მანქანა მიჰქრის ახაშნისაკენ. ამ სოფელშიც ცხოვრობენ ფერეიდნიდან სამშობლოში დაბრუნებული ქართველები.

რა არის ეს ავტომობილი! ასე გვგონია რევაზისა და ჯამილას ეზო-გარემოს არ გავცილებივართ და უკვე ახაშენში ვართ. თითქოს დაპირებულებივით გვხვდებიან გაჩერებასთან ფერეიდნელები. მისულები ხელს ართმევენ ჟანას. აგერ მისი მშვენიერი სახლი და ეზო-გარემოც. ოლონდაც ესტუმრეთ და ჟანაც მზად არის გაგიმასპინძლდეთ. მასაც აქვს თავისი ხელით გამომცხვარი პური, თავისი ხელით მოქსოვილი ნოხები, ხალიჩები და ფარდაგები.

ვაზისუბანი. მარტი. 1978 წელი.



# ფშავის ამაგდარი მედმუშაკი

ლამაზია ფშავი: მაღალი მთები, ნოყიერბალახიანი სათიბ-საძოვრები, სამკურნალო მინერალური წყაროები, მრავალგვარი ტყეები დასახლებული ნაირსახეობის ნადირფრინველით, მჩქეფარე ნაკადულები და ხევხუვები, ანკარა წყაროები და ფშები. სწორედ ჩვენი კუთხის მშვენიერებამ აამღერა ვაჟა და ათქმევინა! — ჩემსამც სამარეს ამკობენ, თქვენი დეკა და ღვიანიო.

აი, ეს ტურფა მხარე იყო პატარაობიდანვე ნინო ჩარბედაშვილისთვისაც შთაგონების წყარო, სადაც კარგა ხანს სულმნათი ექიმი გიორგი თედორაძეც ცხოვრობდა და ილეწოდა. ძველად ფშავი უგზოობის გამო მოწყვეტილი იყო გარე სამყაროს. ხალხს უჭირდა. ფესვი ჰქონდა გადგმული ცრუმორწმუნეობას, ათასგვარ მავნე ტრადიციას. ქალს არავითარი უფლება არ გააჩნდა, ამიტომ იყო, რომ დიდმა ვაჟამ 1905-1907 წლებში ფშავის დიდი ნაწილი ქვემოქედში (წითელწყაროს რაიონი) ჩამოასახლა. ნინოს მშობლებიც მაშინ ჩამოსახლდნენ შირაქში და ნინოც აქ დაებადათ. ეს ადგილები მაშინ თუშებს ცხვრისათვის ჰქონდათ და სხვას არ იკარებდნენ. ამიტომ ფშაველი ხალხის ჩამოსასახლებლად ვაჟას დიდი ბრძოლა დასჭირდა. თუშები ენამრავლობით შეეცადნენ ვაჟასთვის გული გაეტეხათ და ქედიდან გამოეგდოთ. მაგრამ პოეტმა კანონს მიმართა.

ნინოს ბავშვობიდან ექიმობა აინტერესებდა, დედას თეთრ ხალათს შეაკერინებდა და ექიმობანას თამაშს იწყებდა. აიღებდა ფანქარს, ტახტზე წამოწვენილ „ავადმყოფ" დობილს ან დას გულზე მიადებდა და ისუნთქე, ისუნთქეო, თხოვდა, რისთვისაც პატარა ნინოს „ისუნთქეც" კი შეარქვეს.

ქვემოქედის საშუალო სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ნინომ საბუთები სამედიცინო ტექნიკუმში შეიტანა. რომ დაამთავრებ, შენს ფშავს უნდა დაუბრუნდეო, უთხრეს. „პატივცემულებო, მეც ეს მაქვს გადაწყვეტილიო," — იყო მისი პასუხი.

დადგა ეს დღეც. ახალგაზრდა სპეციალისტი თავისი თხოვნით დუშეთის რაიონის მაღაროსკარის საბჭოში სამუშაოდ წავიდა. მაშინ აქ სულმნათი ექიმი, ომის მონაწილე ქეთევან შენგელია მუშაობდა, რომელმაც ნინოს ოცი წლის განმავლობაში დედობრივი მზრუნველობა გაუწია. ქეთევანს უყვარდა ფშავი, ომიდან დაბრუნებულმა აქ დაიწყო მუშაობა და სიკვდილამდე არ უღალატნია მისთვის. მადლიერმა ხალხმა ფშავიდან ის თბილისში ჩაასვენა და გულმხურვალედ დაიტირა.

ჯერ კიდევ ქალბატონ ქეთევანს აფიქრებდა ფშავის ცუდი სამედიცინო მომსახურების პრობლემა: — სასწრაფო დახმარების მანქანის უქონლობა, მამაკაცი ექიმების უყოლობა. მამაკაცს ხომ უფრო შეუძლია მთებში ასვლა-ჩამოსვლა, იალაღებზე აქა-იქ გაფანტულ თითო-ოროლა კომლთან, ფერმების მწველავებთან, მწყემსებთან მისვლა.

ყველაფერი აფიქრებს ნინო-ქალს, დედა-ქალს, აფიქრებს და რაზმავს სიკვდილის წინააღმდეგ, ხშირად, მთის ბილიკებს რომ მიუყვება, მღერის ხოლმე:

„სიკვდილო გასაოხრებო, დახვალ ეშმაკის
გზაზედა,
შასვლაში შაპარვა იცი, ხმას გასტეხ
გამოსვლაზედა,
შენ ჩვენ ვერაფერს დაგვაკლებ, თავს
დაგინაყავთ ქვაზედა."

წინათ ბევრი ექიმი ფშავ-ხევსურეთში მოხალისედ მოდიოდა: ვანო სიხარულიძე, გოგია ზაქაიძე, დავით ხუბულური, გიორგი თევდორაძე, იაშვილი, ფერშალი რაჟდენ სხირტლაძე და სხვანი. დღეს კი აღარავინ გვეკარება, მარტო ნინო ექთანის ანაბარასა ვართ. გვიხარია, რომ ეს მაინც არის, უცბათ, არ მოგვკლავს. გვიხარია, რომ ნინოს მხარში უდგანან: ჩარგლის პუნქტში თამარ ბადრიშვილი და ნ. ელიზბარაშვილი; მაღაროს პუნქტში — სალომე პაპიაშვილი და ეთერ ქისტაური; უკანა ფშავში — მარო კაკაბიშვილი.

დიდ სამადლო საქმეს აკეთებს ხევსური კბილის ექიმი ირაკლი არაბულიც, რომელიც ამ ხუთ სასოფლო საბჭოში მარტო მუშაობს.

ნინოს ისიც ურთულებს საქმეს, რომ აქ ხუთ სასოფლო საბჭოში ჯერჯერობით არცერთი აფთიაქი არ არის და წამლები ხშირად თვითონ, თავისი ფულით უნდა მოიმარაგოს. ექიმის თანაშემწე უექიმოდ მუშაობს, იგი ხალხის მხსნელია.

აქ, თუ გაახსენდათ, დუშეთიდან ვინმე უქნარას გამოგზავნიან, რომელიც სოფლებში არც გადის და მუშაობის პერიოდში სულ შვებულებასა და კურსებზე ითვლება.

მეოთხედმა საუკუნემ განვლო იმ დღიდან, რაც ნინო ფშავში მოვიდა. ჩამოსვლისთანავე დაოჯახდა, ცოლად გაჰყვა მასწავლებელ ივანე ქართველიშვილს, კაცს მწიგნობარს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს. აღზარდა სამი ქალიშვილი — სულ უფროსი ნესტანი საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია. კარგი ქმარ-შვილი ჰყავს, ორ ვაჟს—ნიკოსა და ვანოს უზრდის სამშობლოს. ბიჭები ყოველ ზაფხულს ბებია ნინოს სტუმრები არიან. ნანაც უმაღლესი განათლებითაა და დიდი ვაჟას სოფელში—ჩარგალში ისტორიის მასწავლებლად მუშაობს, მესამე—ნათელა მუშაობასა და სწავლას ერთმანეთს უთავსებს.

ნინო და ივანე ფშავის ხევის მცხოვრებლებს ჭირსა და ლხინში ნიადაგ გვერდში უდგანან. ხდება ხოლმე, ნინო ქალების თამადაა — ივანე კი კაცებისა. ერთხელ, მათს ოჯახში სტუმრობისას, მოკრძალებით ვთხოვე ნინოს, მისი ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდი მოეთხრო, რომ სცოდნოდა ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რკვევისათვის მსურდა, კრინტსაც არ დასძრავდა.

და, მიამბო: — „ერთხელ, ზამთარში უკანაფშავამდე 25 კილომეტრზე. ქეთო ექიმი ცხენით წაიყვანეს, მე და ავადმყოფის პატრონი კი უკან ფეხით მივყევით. ძალიან დავიღალეთ, მაგრამ ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, დროულად რომ მივუსწარით, მშობიარე ქალი და ბავშვი გადავარჩინეთ. დაბრუნებისას ავადმყოფმა დაგვლოცა. არა მგონია, ამაზე მეტი ჯილდო კიდევ რამე არსებობდეს ქვეყანაზე. უჩემოდ განათლებული და სულმნათი ქეთო ექიმი მართლაც ვერას გახდებოდა. მეც სიხარულის ცრემლი მახრჩობდა და კრინტს ვეღარა ვძრავდი. ასე გახარებულნი დავბრუნდით უკან, მაღაროსკარში...“

„რამდენჯერ დაჭრილი, ფეხმოტეხილი და დასახიჩრებული ავადმყოფი მოუყვანიათ მაღაროსკარის საექიმო პუნქტში. პირველ დახმარებას აღმოვუჩენდით. მერე ქეთო ექიმი მთხოვდა, შემთხვევით „ნაშოვნი“ მანქანით საავადმყოფოში ჩამეყვანა.

მახსოვს, კვირა საღამო იყო, ერთი კაცი მეორე სართულიდან გადმოვარდა და ფეხი მოიტეხა, მოტეხილობა ღია იყო, ავადმყოფთან მარტო აღმოვჩნდი, რაიონსაც — ვერ იქნა და ვერ დავუკავშირდი, დაყოვნება არ შეიძლებოდა, სისხლისაგან იცლებოდა, დავუწყე შეხვევა, გადავუჭირე არტაშანები, ჩემი მეუღლე და შვილებიც მოვიხმარიე. მერე მანქანა ვიშოვნე და ავადმყოფი დუშეთის საავადმყოფოში მივიყვანე, ოპერაცია ჩემი თანდასწრებით გაუკეთეს, ავადმყოფს კიდური შეუნარჩუნეს“.

ნინო ჩარბედაშვილს თავისი კოლეგები და ხალხი „მორბენალს“ ეძახიან. მისი სამოქმედო უბნები ხომ ერთი მე-15 კილომეტრზეა; მეორე მე-12-ზე, მესამე მე-10-ზე და ა. შ. ყველგან დაუზარელად გამოჩნდება ხოლმე ჩვენი ნინო-ქალი. ამას ალბათ ბევრი ვაჟკაციც ვერ შესძლებს. მის გულს მალამოდ ედება ავადმყოფთა სამადლობელი სიტყვები და ერთიათად ჰმატებს სიმხნევესა და სიყოჩაღეს. ფშავში იგი მხსნელ ღმერთად მიაჩნიათ. როგორც ხალხისთვის, ისე მისთვისაც შუადღე და შუაღამე ერთია. იშვიათად პოულობენ სასოფლო ამბულატორიაში, მუდამ ხალხთანაა, ასე უთავსებს ერთმანეთს ოჯახსა და დიდად პასუხსაგებ სამსახურს. იხაროს ასეთმა დედა-ქალმა ქმარ-შვილითა და მამის სახელით, დაე, მისაბაძი იყოს მისი შრომა, კაცის მაგიერობა და ვაჟკაცური შემართება.

სოფლის ამბულატორიაში, სადაც ყველაფერი გულმოდგინედ აქვთ დალაგებული, სურათ-პლაკატები გაკრული, თავის ადგილზე უწყვია სამუშაო გეგმები და სხვა. მისი გამოჩენა მუდამ უხარიათ. სიკვდილმა მოცდა არ იცისო, იტყვის ხოლმე ნინო-ქალი. არის შემთხვევა, ერთდროულად რამდენიმე ავადმყოფს უჩენს სასწრაფო დახმარებას. გვიმრავლოს საქართველოში ნინოსთანები!

პენსიონერი **ვანო ხორნაული**



პოეტმა გივი ჭიჭინაძემ, წელს დიდებული ჯილდო დაიმსახურა: იგი საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი გახდა. გივი ჭიჭინაძე ჭეშმარიტი მემკვიდრეა დიდი ტრადიციების მქონე ქართული საბავშვო მწერლობისა. ჩვენს ბავშვებს უყვართ მისი წკრიალა, კეთილხმოვანი ლექსები. ჟურნალ „საქართველოს ქალის“ ფურცლებიდან არაერთხელ გაგვიხარებია ნორჩები გივი ჭიჭინაძის მშვენიერი სტრიქონებით.

რედაქციის კოლექტივისა და მკითხველთა სახელით გულითადად ვულოცავთ პოეტს საპატიო წოდებას — საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატობას.

## გივი ჭიჭინაძე

### იადონები

იადონმა იადონს
მკერდზე თავი მოადო:
— ჩვენი ნაზი სიმღერა
ღირს მთელ სიმფონიადო.

### ყვავილები

პეპლებმა რომ
მიგვატოვეს,
განა მიტომ ვიბუტებით,
ცელქმა წვიმამ
გაგვაწამა
უთავბოლო წკიპურტებით.

### ღამევ, ღამევ გაგრძელდი

— ვარსკვლავები ტირიან.
— რა ატირებთ ვარსკვლავებს?
— დანა გალესილია,
ხვალ თეთრ ბატკანს დაკლავენ.
წყაროს, დარდით დაწრეტილს,
ცვივა ცრემლის წვეთები
— ღამევ, ღამევ, გაგრძელდი,
დიდხანს ნუ გათენდები.

### ჩიტალია

ჰეი, ჩიტო-ჩიტალია,
ვხედავ ფრენა გისწავლია,
ფრთასა შლი და გიხარია...
— შენ კი რაო, გწყინს?
— ო, პირიქით, ვხარობ კიდეც,
იქნებ ერთხელ ჩამოფრინდე
და გულკეთილ ფისუნიას
დამისკუპდე წინ.



კ. მარქსის ს. ს. საქ. სსრ სახელმწიფო ბიბლიოთეკა



თამარ სულაქველიძე და პოეტი იოსებ გრიშაშვილი

# ექიმმა პროფესია შეიცვალა

„ქართული კულინარიის ქალბატონი!" ეს სიტყვები ჩვენი პოეზიის რაინდს იოსებ გრიშაშვილს ეკუთვნის, რომელიც ჩვენთვის ადრესატს — თამარ სულაქველიძეს არ უკარნახია.

როცა არცერთმა ჟურნალისტურმა „ხერხმა" არ გასჭრა და საკუთარ თავზე ვერაფერი წამოვაცდენინეთ, ვიხელმძღვანელეთ ხალხური სიბრძნით, საქმემან შენმან გამოგაჩინოსო და ზოგი რამ ძუნწი ცნობა წყაროებში მოვიძიეთ.

ქალბატონი თამარი კულინარული რვა წიგნის ავტორია. არ გვეგულება ისეთი დიასახლისი, რომელსაც ამ წიგნთაგან რომელიმე მაინც არ გადაეშალოს და „კულინარიის ქალბატონს" ამა თუ იმ კერძის დამზადების საიდუმლოს არ დასესხებოდეს. თუმცა „საიდუმლო" რა სახსენებელია, როცა ქალბატონი თამარი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება სწორედ იმის ცდაშია, რომ ყველა ქართველი (და, არა მარტო ქართველი) დიასახლისი აზიაროს ამ მეტად რთულ, საინტერესო, აუცილებელ და საჭირო საქმეს.

რთული, საინტერესო, აუცილებელი, საჭირო. იქნებ ვინმეს ეს განსაზღვრა გაზვიადებულად მოეჩვენოს! და თუ ეს ვინმე ქალი, თანაც დიასახლისი იქნება, მერწმუნეთ, მის ოჯახს ნამდვილად ეკლება ის, რასაც ოჯახური იდილია, ოჯახის მყუდროება, და, ასე გასინჯეთ, ოჯახის რომანტიკაც კი შეიძლება ეწოდოს.

ჩვენს მეტად საქმიან საუკუნეში, როცა ქალი ოჯახის გარდა კიდევ ათასგვარ საზრუნავშია ყელამდე ჩაფლული, ბევრი ლაპარაკია კვების ინდუსტრიაზე, საოჯახო, ნადიეტო კაფე-სასადილოებზე, კვების ნახევარფაბრიკატებზე (რაც სხვათაშორის, მართლაც, აუცილებელია) და კიდევ ათას რამეზე, რომელიც ქალს სამზარეულოს ტყვეობიდან იხსნის. მაგრამ, რა პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს ეს, ბევრ ქალს მაინც „ტყვეობა" ურჩევნია, — ურჩევნია თუ ყოველთვის არა, კვირაში ორჯერ მაინც, — როცა თავად დაუმზადებს ქმარშვილს (და შვილიშვილებს) სადილს — სამზარეულოს არომატითა და სურნელით აავსებს, საცერს აატკაცუნებს, როდინს ახმაურებს და შრომის საფასურად ოჯახის სიმყუდროვით დატკბება.

ეს მცირე გადახვევა იმიტომ დაგვჭირდა, რომ თამარ სულაქველიძის საქმიანობის სერიოზულობისა და აუცილებლობისათვის გაგვესვა ხაზი. რამდენი მოწადინებული დიასახლისი ეძებს სამზარეულოს წიგნების სარჩევში ამა თუ იმ კერძის დასახელებას, რომლის დამზადება, იქნება, იცის კიდეც, მაგრამ რომ არ შეცდეს, საკონსულტაციოდ ერთხელ კიდევ მიმართავს თამარის სახელმძღვანელოებს.

გაგიკვირდებათ, როცა ქალბატონმა თამარმა ქართული კულინარიის მეცნიერულ (დიახ მეცნიერულ) დამუშავებას მიჰყო ხელი, წესიერად, მგონი ერბო-კვერცხის შეწვაც არ იცოდა. რომ იტყვიან, დაბადებიდან არ დაჰყოლია კულინარიის ტალანტი.

პროფესიად ექიმობა აირჩია. სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ასპირანტურაც გაიარა. მაგრამ... ომი დაიწყო და ჰოსპიტალში გაამწესეს. დიდი ომი იყო. დიდი გზნებით ემსახურებოდა მაშინ ყველა ქალი თავის საქმეს. გამონაკლისი არც თამარი გახლდათ, მაგრამ თამარს უბედურება ყურის ძირში ჰყავდა ჩასაფრებული; ჰოსპიტლიდან მომავალს ფეხი დაუსხლტა, მუხლი რაღაცას დაჰკრა და... დაინვალიდდა, სამუდამოდ მოსწყდა საყვარელ საქმეს. ეს ყველაზე ძნელი და მძიმე დრო იყო ქალისათვის, რომელსაც უმიზნოდ, [illegible]ლად ერთი წუთიც ვერ წარმოედგინა.

ერთხელ დედამ — მარიამ სულაქველიძემ, თავიანმა დიასახლისმა, კარგმა მეოჯახემ და ჩინებულმა კულინარმა თამარს შესთავაზა, ოჯახის დიდი ტრადიციები გამოეყენებინა, სამზარეულოში შეეხედა, კერძების დამზადება შეესწავლა და კულინარული სახელმძღვანელო შეექმნა. ასე გაჩნდა მიზანი.

ამ დღიდან მოყოლებული სულაქველიძეების პაწია სამზარეულო ნამდვილ ლაბორატორიად იქცა. იწონ-იზომებოდა შაქარი და ერბო, იბრაწებოდა კუპატები, თაბახებსა და გობებზე ლამაზ ნატურმორტებად ეწყობოდა ქორფა წიწმატი, ტარხუნა და კიტრი, ტრიალებდა ქონდრის, ზაფრანისა და ქინძის სურნელი...

საქართველოს ყოველი კუთხიდან აწვდიდნენ კერძებისა და ტკბილეულის რეცეპტებს. ეს რეცეპტები საბოლოო გამოცდას სამზარეულო-ლაბორატორიაში გადიოდა, იხვეწებოდა; რაიმე ემატებოდა და აკლდებოდა.

საღამოობით კი საწერ მაგიდაზე ათასი ლიტერატურა თუ ლექსიკონი ლაგდებოდა. თამარი აზუსტებდა კერძების სახელებს: იკვლევდა ამა თუ იმ პროდუქტის კალორიებს, არჩევდა კერძებს დაავადებულთათვის... საქმე სულ უფრო საინტერესო ხდებოდა... იქმნებოდა ახალი კერძები, ნამცხვრები, სასმელები. ყოველი „აღმოჩენის" შემდეგ თამარი ბედნიერი ღიმილით იძინებდა. ექიმმა პროფესია შეიცვალა, მაგრამ ახლა ამას აღარ ნაღვლობდა. ამაზეა ნათქვამი ზოგი ჭირი მარგებელიაო.

იგი საქვეყნოდ ცნობილი გახდა. მის წიგნს დაეძებდნენ და დაეძებენ, დახლის ქვემოდან ჰყიდდნენ. ერთს მეორე მოსდევდა: „სამზარეულო დიასახლისისათვის", „ადამიანის საჭმელი", „დიასახლისის ცნობარი", „ქართული კერძები", „ქართული ბოსტნეულის კერძები" და ა. შ. ეს სახელმძღვანელოები დიასახლისების სამაგიდო წიგნებად იქცა. სულაქველიძის სახელი გასცდა საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ფარგლებსაც კი. რამდენიმე წიგნი თავად თარგმნა რუსულ ენაზე. დასავლეთ გერმანიაში ლილი პეპე-გეგელაშვილისა და ნიკოლოზ ჯანელიძის მიერ შედგენილი „ქართული სამზარეულოსათვის" გამოყენებულ ლიტერატურაში თამარ სულაქველიძის რამდენიმე ნაშრომიც იყო დასახელებული.

ქალბატონი თამარი ჩვენი რედაქციის ხშირი სტუმარია. ახლაც მოგვიტანა რამდენიმე რეცეპტი და სიყვარულით შესთავაზა მკითხველებს. როცა საპასუხოდ შევაქეთ, ოდნავ დაბნეულად, ბავშვური მიამიტობით გაიღიმა. ალბათ შეგინიშნავთ, ასეთი ღიმილი მხოლოდ უზომოდ კეთილ, თავმდაბალ, უანგარო, ფუტკარივით მშრომელი ადამიანის სახეს ამშვენებს ხოლმე.

ნ. სიმონიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოჩუბეიში



ტრამალებში ჩაკარგულა პატარა დაბა კოჩუბეი. ირგვლივ ქვიშრობები, უკიდეგანო ტრამალები, გადატრუსული ბალახია.

საღამოსპირია. წითელი აგურით ნაგები სახლის სარკმლიდან შუქი კრთის. გაზაფხულის ქარი ქრის და მავთულებში გადახლართულ სიმღერას მღერის... ცა მოკრიალებულია. ოთახში დედა და შვილები არიან. ბიჭი ჯინსს იზომავს, გოგონა ფორტეპიანოსთან ზის. დედა მაგიდასთან მიმჯდარა. იდაყვებით ჩამოყრდნობილა, თმაში წაუჩრევია გრძელი თითები და ერთ წერტილს ჩაჰყურებს...

ქართული სიმღერის აკორდები ნაზად ეფინება მიდამოს.

გარედან ქარის ზუზუნი ისმის. გოგონას თითები სიმღერასავით ლბება და ტრამალების მელოდიას აჩერებს.

დედა და შვილები დუმილის ნეტარებას მოუცავს.

დილაა. წუხანდელი ცის შემხედვარე კაცი ვერაფრით დაიჯერებს, რომ ახლა თოვლი მოდის. დიდი, სინოტივით დამძიმებული და გაჯღენთილი ფანტელები უმალვე დნება და ტალახით იზილება მიდამო.

წითელი აგურით ნაგები სახლის წინ ბიჭი და გოგო ბატკანს დასდევენ.

დალი ფანჯრიდან უყურებს შვილებს.

გოგონა ეძახის:

— გოგიტა, შევიდეთ შინ, დედა მარტოა!

გოგიტა ბატკანს ეალერსება.

ეკა არ ეშვება:

— ბიჭო, დედიკო მარტოა, არ გეცოდება?

გოგიტა დას მისდევს, ტალახში ფეხი უსხლტება და თეძოებით მორყეული ნაბიჯებით მიდის სახლისაკენ.

დალის, მისი შვილების თქმისა არ იყოს, ძალზე ხშირად უხდება მარტო ყოფნა... მისი მეუღლე — ყიზლარის ზამთრის საძოვრების მართვის გაერთიანების პარტიული კომიტეტის მდივანი — რამაზი, დღე და ღამეს ასწორებს, ან ტრამალებშია, ანდა საშურ საქმეებზე თბილისში.

დალის ერთადერთი დღის რეჟიმი აქვს: დილით გოგიტა მიჰყავს სკოლაში, თვითონ გერმანულ ენას ასწავლის მოსწავლეებს, შუადღის შემდეგ კი გოგიტა მოჰყავს სკოლიდან, ბაზარში შეივლიან დედა-შვილი, მერე ეკას მიაცილებს... თუმცა ეკა უკვე დიდი გოგოა, მაგრამ... დედის გულის ამბავი ხომ იცით — უცხო მხარეა, ცუდი ამინდია, მანქანები დაჰქრიან, ბავშვს არაფერი შეემთხვესო...

საღამოთი კი... როცა ჩვენთან — ქალაქად, სოფლად ადამიანები ტელევიზორებს უსხედან, დალი რადიოს ჩართავს და ქართულ გადაცემას უსმენს.

კოჩუბეის მცხოვრებლებს თითქმის ყველას აქვს ტელევიზორი, მაგრამ თვეში ერთხელ ან ორჯერ უჩვენებს, რადგან ქალაქ გროზნოდან აქამდე ვერ აღწევს ანტენის ძალა...

მოკლედ, მომცრო დაბაში, სადაც თანამედროვე, ახალგაზრდა ქალი — დალი ცხოვრობს, არც კომფორტაბელური კინოთეატრია, არც ტელევიზორი, არც სხვა რაიმე ამდაგვარი... ყიზლარში მხოლოდ ადრეული შეღამება და ადრეული დილაა, რომელთა შორის ადამიანთა სისხლსავსე, საინტერესო ცხოვრების აკორდები ჟღერს...

ხვალ ხომ შენი დაბადების დღეა! — ეუბნება ეკა დედას.

— არც მახსოვდა.

— მერე, არ გადაიხდი?

— არა.

— ჩვენ ხომ ყოველთვის გვიხდი, შენ რატომ არ გინდა?

დალი უღიმის შვილს და იმ დედობრივი თვალით უყურებს, როცა დგება წამიერი მომენტი — „რამხელა გაზრდილა ჩემი შვილიო“...

ეკა თითს სწევს მაღლა და ნიშნისმოგებით ეუბნება:

— ნუ გგონია, რომ მე არაფერი ვიცი... შენ მუდამ ტყუიხარ, როცა ამბობ — ხილი თქვენა ჭამეთ, მე არ მიყვარსო...

სულ შენ რომ გვიმზადებ საჩუქრებს, ეხლა მე და გოგიტასაც გვინდა დღეობა მოგილოცოთ.

დალი უსიტყვოდ შეჰყურებს შვილს და მისი ნათქვამის სიმართლე უკვირს, ისე უკვირს, როგორც დედას შეიძლება გაუკვირდეს შვილისა...

დალი კეკელიძე-აბაშიძე ორი წელია ქმარ-შვილთან ერთად ცხოვრობს ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე.

ძნელია აქ ყოფნა დალი? — ვეკითხები.

დალი იღიმება:

— არა, უკვე შევეჩვიე.

— როგორა სძლებთ?

— ოჯახი, სამსახური, მოგონებები, ხვალინდელი დღის იმედი...

— გენატრებათ თბილისი?

— ძალიან, მაგრამ იქ რომ ჩავალ, გული აქეთ მომიწევს, სკოლისაკენ, მოწაფეებისაკენ.

— ალბათ ყოველთვის სიამოვნებით გაიხსენებთ აქ გატარებულ ცხოვრების დღეებს.

— რა თქმა უნდა.

— ბავშვები როგორ შეეგუვნენ აქაურობას?

— მეგონა გაუჭირდებოდათ, მაგრამ ეკა და გოგიტამ ბევრი მეგობრები შეიძინეს, ბევრი რამ აქ მათთვის ახალი და საინტერესო აღმოჩნდა.

დალისთან ერთად მივდივარ სკოლაში. ის ოდნავ წინ მიაბიჯებს. — მაღალი, მოხდენილი, დიაცური სიმხნევითა და სიამაყით სავსე.

დალი ჟურნალით საკლასო ოთახისაკენ მიემართება, სადაც დაღესტნელი, რუსი, ჩეჩენი, აზერბაიჯანელი, ქართველი და სხვა ეროვნების მოსწავლეები უცდიან გერმანული ენის გამოკითხვა-ახსნას.

ეს დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკის დაბა კოჩუბეის საშუალო სკოლაა.

მარტის ბოლო რიცხვებია. რამდენიმე დღეა მზემ ჩამოხედა ტრამალებს.

უკანასკნელი თოვლი მიწას შეეწოვა, ბალახს ღონე მისცა და წელში გამართა.

კოჩუბეის საშუალო სკოლის ეზო უფრო გამოაცოცხლა თბილმა ამინდმა.

ბალღების მიერ აჩემებული, ეგრეთწო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებული, ზამთრის სხვადასხვა თამაშობა ზაზაფხულოთი შეიცვალა.

დალი ჩვეულებრივი სიდინჯით მიაბიჯებს ეზოში, თავი ჩაუღუნავს და იმ საკლასო ოთახისაკენ მიდის, რომლის წინ მოსწავლეთა მთელი ჯგუფი დგას.

დალი კეკელიძე-აბაშიძის ინიციატივით კოჩუბეის საშუალო სკოლაში გერმანული ენის შემსწავლელი წრე ჩამოყალიბდა.

— პირველი დღეებიდანვე უამრავი მსურველი გამოჩნდა, — ამბობს დალი.

საკლასო ოთახის კუთხეში რადიომიმღები მოჩანს. დალი ფირფიტას დებს. ეს გერმანული ენის გაკვეთილებია დამწყებთათვის. გაისმის გერმანულ ენაზე მისალმება, მერე: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ბერლინში“.

ბალღები გულისყურით უსმენენ გერმანულ საუბარს. მათ თვალებში ის ცეცხლი დანთებულა, რომელიც სწავლის სურვილის ჰიაკოკონებს აბრიალებს... შემდეგ მასწავლებელი მთლიანად უთარგმნის ტექსტს. ბავშვები იწერენ უცხო სიტყვებს და უპასუხებენ კითხვებზე.

დალი საკუთარ გეგმებზე მესაუბრება, მალე მოაწყობენ საღამოს, სადაც წრის წევრები გერმანულ ენაზე წაიკითხავენ ლექსებს, შეასრულებენ სიმღერებს და გერმანულად „წითელქუდას“ დადგამენ. მოსწავლეები დიდი მონდომებით ემზადებიან.

მარტის საოცრად მზიანი, მშვენიერი დღეა. უკვე მერამდენედ მაგონდება დალის მიერ თავისი შვილებისათვის ნათქვამი: „ბავშვებო, დადგება არდადეგები და თბილისში წავალთ დასასვენებლად“... და ეს მაშინ, როცა თბილისიდან ბაკურიანისაკენ და სხვა კეთილმოწყობილი კურორტებისაკენ მიეშურებიან დამსვენებლები... თუნდაც, როგორ იცის მონატრება ჩვენმა მთებმა, ტყეებმა, თბილისმა, თეატრმა, ოპერამ, ახლობლებმა.

აქეთ კი უშველებელ ტრამალებში ჩაკარგულა ერთიბეწო ქალაქის ტიპის დასახლება...

ალბათ ძალზე ძნელია თბილისელი ქალისათვის აქ, ამგვარ პირობებში ცხოვრება... — ვფიქრობ და ეზოში გამოვდივარ. წყნარი ნიავი ქრის და ბავშვების ჟივილ-ხივილში იკარგება.

მე არ მსურდა ისეთი ნარკვევი დამეწერა, რომელშიც როგორც ამბობენ, „სიგრძე-სიგანით იქნებოდა წარმოდგენილი“ ნოღაეთის ტრამალებში ჩასული ქართველი ქალის ცხოვრება. ხშირად მიგრძვნია რომ, რაც გეწერება, იმისი გამომზეურება სჯობს „ნატანჯ-ნადაგი“ სტრიქონებით შემდგარ „ღაღადისს“. მეც რამდენიმე ცხოვრებისეული შტრიხით შევეცადე ქართველი ქალებისათვის გამეცნო მათი თანამემამულე მანდილოსანი — დალი კეკელიძე-აბაშიძე, რომლის ცხოვრება თუ ერთადერთი არა, უმცირესთაგან ერთ-ერთი მაინც არის...

ჯ. დავლიანიძე

# სამაჯური

ფეხმძიმე ქალი რაიონის საავადმყოფოში მიიყვანეს. კრიალა პალატებსა და დერეფნებში თეთრხალათიანები ფუსფუსებდნენ. დიდ სიჩუმეში კანტიკუნტად ჩვილი თუ წამოიტირებდა...

ისინი გვერდიგვერდ იწვნენ. ორივენი ახალგაზრდები იყვნენ. ერთ დღეს იმშობიარეს და ვაჟები შეეძინათ.

—ყოჩაღ თამარ!

—ყოჩაღ, მზია!—დედობას ულოცავდნენ მათ.

ბიჭუნებით სახლებში ჯანმრთელები, ბედნიერები დაბრუნდნენ. მზიას სასტუმრო ოთახში ახლობლები შეკრებილიყვნენ. საზეიმო სუფრა გაეშალათ. ბებია ფუსფუსებდა. თამაზს მამობის სიხარულისაგან თვალები უბრწყინავდა. ჩვენს ბიჭიკოს გიორგი შევარქვათ, ირაკლი, რევაზი თუ დავითიო—დიდხანს ბჭობდნენ ისინი.

ჩვილზე ზრუნვასა და მოვლაში სწრაფად გადიოდა დღეები.

ალიონზე იღვიძებდნენ. დილის პირველი მოძახილით პატარა გიორგი გაღვიძებას ყველას ამცნობდა და უთენია წამოიშლებოდა ოჯახი.

თბილი საღამო იდგა. ჭიშკართან საავადმყოფოს მანქანა შეჩერდა. მანქანიდან ექიმი გადმოვიდა, მას თამარი მოჰყვა. მოულოდნელი სტუმრები მასპინძლებმა შინ შეიპატიჟეს. ერთმანეთი მიიკითხ-მოიკითხეს. საუბრის საგანი ბიჭუნები იყვნენ.

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ მყუდროება ექიმმა დაარღვია. მან მძიმედ დაიწყო:—საავადმყოფოში შეცდომა მოგვივიდა, ჩვილების სამაჯურები ექთანს შეეცვალა და თქვენი ვაჟიშვილი თამარსა ჰყავს, თამარისა კი—თქვენა...

— ჩემი თამარსაო!—ჩუმად გაიმეორა მზიამ და ყურს არ დაუჯერა, გაქვავდა, თამარს გახედა, იგი გარინდებული იყო. შემდეგ ისევ მზია ალაპარაკდა: არ შემიძლია, ვერ დავთმობ! და ნაბიჯი გადადგა. თამაზთან მივიდა. თამაზი კედელს მიყრდნობილი ქანდაკებასავით იდგა. მის სახეზე მხოლოდ განცვიფრებას ამოიკითხავდით. მზია აკვანთან მიიჭრა. აკვანში პაწია იწვა, ვარდისფერლოყებიანი, ფუნჩულა ბიჭუნა. ტუჩებს აცმაცუნებდა. დედა დაბალ სკამზე ჩამოჯდა და ბავშვს ხელი გადააჭდო. თვალებიდან ცრემლები ღაპაღუპით სცვიოდა. „ვერ დავთმობ, ვერა, პირველად მე ვეამბორე, მე ვაწოვე ძუძუ, გესმით?“ და აკვანთან მჯდომი შეშინებულ თვალებს აქეთ-იქეთ აცეცებდა, პირველ სიხარულს ხომ არ მართმევენო. თამაზი ცოლთან მივიდა და დამშვიდება დაუწყო.

—თქვენი ნებაა, როგორც გადაწყვეტთ, თქვა ნინო ექიმმა და ფეხზე წამოდგა. მას მხრებდაშვებული თამარიც გაჰყვა. თამარს ისევე უმძიმდა შინ მყოფი ლევანის დათმობა, როგორც მზიას—გიორგისა.

სტუმრები გააცილეს. მაღლა ცას ფერი წასვლოდა და ბინდბუნდში სახლები ლანდებად იდგნენ. კარის ზღურბლთან ორი დედა პირისპირ შესცქეროდა ერთმანეთს. დამუნჯებულები სიტყვას ვერ ძრავდნენ. ვერცერთი ვერ თმობდა იმ პირველ სითბოს, პირველ სიხარულს, შვილის სიყვარული რომ ჰქვია. და მათთვის არავითარი აზრი არ ჰქონდა შეცდომის გამოსწორებას, შეცვლილ სამაჯურს.

დრო მიდიოდა და აკვიატებული ფიქრებით მაინც ერთმანეთის ოჯახებისაკენ ეჭირათ თვალი. გიორგი და ლევანი გაიზარდნენ. ექვს-ექვსი წლისანი გახდნენ. მზრუნველი მშობლების ხელში ლაღად იზრდებოდნენ ბავშვები.

ერთხელ მზია და თამარი ერთმანეთს შეხვდნენ და გადაწყვიტეს: ვცადოთ, იქნებ შევცვალოთ ბავშვებიო. ასეც მოიქცნენ, მაგრამ თამარმა და მზიამ თეთრად გაათენეს ის ღამე. შვილები სახლებში ჰყავდათ და მაინც პირველი განცდის მორჩილები იყვნენ. გულისნაწილს დაეძებდნენ. ბიჭუნები ახალ გარემოს ვერ შეეგუვნენ, სხვა ჭერი ეზიდებოდათ, ეზიდებოდათ პირველი თვალის ახელა, პირველი სითბო, პირველი ძახილი და წამიყვანეთ ჩემს დედიკოსთანაო—წიოკობდნენ.

ბავშვები თავიანთი კერიისაკენ მიიჩქაროდნენ,—მიიჩქაროდნენ იქ, სადაც გული ეძახდათ!

ეთერ ჯაფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შრომა და სიმღერა

საქართველოს სსრ კონსტიტუციაში ვკითხულობთ:

„საქართველოს სს რესპუბლიკაში ყოველნაირად ეწყობა ხელი პროფესიული ხელოვნებისა და ხალხური მხატვრული შემოქმედების განვითარებას“.

*

სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში თამარი ამ 35 წლის წინათ მოვიდა. კოლექტივში მალე ცნობილი გახდა, რომ მას კარგი ხმა ჰქონდა. 1936 წლის ერთ მშვენიერ დღეს პლეხანოვის სახელობის კლუბის ანსამბლის მეცადინეობაზე მიიწვიეს. სიმღერის ანსამბლს ქეთევან ლოლობერიძე ხელმძღვანელობდა.

კლუბის დირექტორის მოადგილემ აკაკი გოზალიშვილმა თამარს ხელი გადაჰხვია და ანსამბლის ხელმძღვანელს წარუდგინა: ისეთი ხმის პატრონი მოგიყვანე, რომ შენც გაგიხარდებაო. ქეთევანმა თამარს ხმენა გაუსინჯა და გუნდის წევრად ჩარიცხა.

კლუბთან იმ დროს ორი ანსამბლი იყო — მეჩონგურეთა და მეფანდურეთა. პირველს აქვსენტი მეგრელიძე ხელმძღვანელობდა, მეორეს — ქეთევან ლოლობერიძე.

1938 წელს გუნდი მოსკოვში გაემგზავრა. კონცერტები მწვანე თეატრში ტარდებოდა. მოძმე რესპუბლიკების რკინიგზელების მომღერალთა გუნდები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. პირველი ადგილი საქართველოს წარგზავნილებს ხვდათ წილად. თამარ იმერლიშვილი ფულადი ჯილდოთი დააჯილდოვეს.

1939 წელს, თბილისში, მე-5 რესპუბლიკურ ოლიმპიადაზეც გაიმარჯვა. თამარმა — პირველი ადგილი და სამინისტროს ჯილდო მოიპოვა.

თამარს უსმენდნენ საყოველთაოდ აღიარებული გუნდების ხელმძღვანელები: კირილე პაჭკორია და მარო თარხნიშვილი, ორივენი ცალცალკე სთავაზობდნენ თავთავიანთ გუნდში გადასვლას.

თამარს ოცნებად ჰქონდა გადაქცეული მაროს გუნდში ჩარიცხულიყო. ეს წადილიც შეუსრულდა.



1939 წელს დონბასში ორთვიანი გასტროლების შემდეგ დასავლეთ საქართველოში გამართეს კონცერტები.

1942 წელს თარხნიშვილის გუნდი საინგილოს ეწვია. მარომ ჩასვლისთანავე სთხოვა თამარს დუდუკების თანხლებით გამოსულიყო რადიოთი. საინგილოს ქართული ჰანგები მოეფინა.

საღამოს კი თამარი კლუბის სცენაზე იდგა და პარტერიდან შეძახილებს ისმენდა: „თამარმა იმღეროს — თამარმა იმღეროს“... ისიც სიხარულით ასრულებდა თხოვნას.

ომის მრისხანე დღეებში გუნდი საშეფო კონცერტებს მართავდა ჯარის ნაწილებში, ჰოსპიტლებში.

1950 წელს რუსთაველის თეატრს მომღერლები დასჭირდა. 250 კაცი წარსდგა კონკურსზე. შვიდი უნდა მიეღოთ. თამარი უკონკურსოდ მიიღეს.

სიმღერა თამარის სიცოცხლეა, მისი მკურნალია, მეგობარია. უსიმღეროდ მას არსებობა ვერ წარმოუდგენია.

1958 წელს საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე მოსკოვში თეატრის კოლექტივს დიდი წარმატება ხვდა. მსახიობთა დიდი ჯგუფი დააჯილდოვეს, თამარი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა.

მან ჩამოაყალიბა მომღერალთა გუნდები სხვადასხვა დაწესებულებებში. მთელი ენერგიით, სიყვარულით ხელმძღვანელობდა ამ გუნდებს, პოპულარიზაციას უწევდა ქართულ ხალხურ სიმღერებს.

დღეს თამარი კვლავაც ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაშია, ქარხნის შუაგულში, სამჭედლო საამქროში ოპერატორად მუშაობს.

უკვე კარგა ხანია კომუნისტური შრომის საამქროს სახელი მიენიჭა სამჭედლო საამქროს კოლექტივს. ამ მიღწევაში საამქროს ოპერატორის, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის თამარ იმერლიშვილის წვლილიც არის.

გრ. კაჭკაჭიშვილი

## მზია ხეთაგური

* * *

შინ შემოიჭრა ბავშვის ტირილი,
გულმა ელექტროშარივით დამკრა,
გამაგდო გარეთ.
მერე ერთბაშად გამოირთო სხეულში დენი:
მე გამახსენდა, რომ ჩემი შვილი
მთელი კვირაა ნავარდობს სოფლად
და ეს ტირილიც მისას არა ჰგავს.
და რადგან სხვისი ტიროდა ბავშვი
შინ შებრუნება შევძელი წყნარად...
და ამ სიმშვიდის უზომოდ შემრცხვა.

* * *

მთვარე ატმის ხეს თეთრად ანათებს,
გალვიძებას ჰგავს ეს ნატურ-მორტი.
მე გამახსენდა უცხო ქალაქი
ფერადი წვიმით და სასტუმროთი...
თვალები, როგორც ღია ბარათი,
სვამდნენ ცრემლიან მრავალწერტილებს,
იყო სიზმარი უმისამართო
და შუაღამე თავაწყვეტილი.
ო, დამიბრუნე ფერი ზღაპრული,
სიგიჟის როკვა,
სხივი მირაჟის,
მომესურვილა იმ გაზაფხულის
ის ათრთოლება, ის გარიჟრაჟი...
მთვარე ატმის ხეს თეთრად ანათებს.
გალვიძებას ჰგავს ეს ნატურმორტი.
მე მომენატრა უცხო ქალაქი
ფერად წვიმებით და სასტუმროთი.

### საყვედური

გულუბრყვილოა ზოგჯერ სურვილი
თავისი ლურჯი ათინათებით,
როდესაც ტყეში ხარობს კუნელი,
როცა თვრებიან ბაიათები,
როდესაც მღერის ნანი ბრეგვაძე,
აფრქვევს ღიმილის თეთრ თაიგულებს,
და როცა, მტვრის და ხმაურის მერე
გრილი საღამო შენად იგულე,
როცა ივსები ღვინით და მთვარით,
ობლად ჩასული მზით და სიკეთით,
და იცი — მცველად გყავს სიმარტოვე
ბაკურიანის ანდა კიკეთის.
როცა ლექსების თეთრი დინება
გიზიდავს უცხო ანდამატივით,
და სიყვარული — თუნდ სხვისი წილი —
ძალზე რთულია, ანდა მარტივი —
ო, შეისრუტავ მწვადის სურნელით
გაულენთილ ღამეს გულაღმა მწოლი,
დამცხრალს უეცრად გაგახსენდება
რომ ცხელ ქალაქში უძილო ცოლი
მას ელოდება, ვინაც შენს მკლავზე
ნელსაცხებელი ისუნთქა ხარბად,
და რომ მათ ქოხში მთელ ღამეს თრთოდა
ბავშვის პერანგი და ქალის კაბა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვინც ალამაზებს ქსოვილებს

აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ქიმიური ლაბორატორიის გამგეს ნინო გაბიჩვაძეს საზეიმოდ გადაეცა რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის საკავშირო საზოგადოების ლაურეატის დიპლომი. იგი ერთადერთი ქალია ჩვენს რესპუბლიკაში, ვისაც ასეთი საპატიო ჯილდო ხვდა.

ნინო გაბიჩვაძე აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ქიმიურ ლაბორატორიაში 1936 წელს მოვიდა. თავდაპირველად მან ლაბორანტად დაიწყო მუშაობა. დავალებას ყოველთვის კეთილსინდისიერად ასრულებდა და მალე დააწინაურეს, ლაბორატორიის ქიმიკოსად გადაიყვანეს. სამუშაო დროის დიდ ნაწილს ნინო საამქროებში ატარებდა. დაწვრილებით სწავლობდა მათს მუშაობას, აქ მიმდინარე რთულ ტექნოლოგიურ პროცესებს. ბევრჯერ უფიქრია, ეგებ ამ პროცესის შეცვლა სჯობდესო, მაგრამ ახალბედა იყო და როგორღაც ერიდებოდა, მეტიჩრობად არ ჩამომართვანო. ქალიშვილს მაძიებელი სული ჰქონდა, ყოველთვის ფიქრობდა სიახლეზე, გაუმჯობესებაზე, ღებვისა და ქსოვილის გამოყვანის არსებული მეთოდების სრულყოფაზე.

ერთხელ თავისი წინადადება მოკრძალებით გააცნო მთავარ ინჟინერს. მოეწონათ ეს სიახლე და წარმოებაში დანერგეს. მას შემდეგ წლები გავიდა, წარმოებაში ნინო გაბიჩვაძის ორმოცამდე რაციონალიზატორული წინადადება დაინერგა, რამაც აბრეშუმის გაერთიანებას თითქმის ნახევარი მილიონი მანეთის მოგება მისცა.

ნინო ხშირად მონაწილეობს რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა რესპუბლიკურ კონკურსებში და თითქმის ყოველთვის პირველ ან მეორე პრემიას აკუთვნებენ.

ამას წინათ, მოსკოვში, რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა საკავშირო კონკურსზე იგი სამი რაციონალიზატორული წინადადებით წარსდგა.

ერთ-ერთი წინადადება შტაპელის ქსოვილის გამოხარშვის ახალი მეთოდის დანერგვას შეეხებოდა.

ადრე ამ ქსოვილს საპნითა და სოდით ხარშავდნენ, მაგრამ იგი საღებავს ცუდად იჭერდა და პროდუქცია უხარისხო გამოდიოდა. ნინომ გადაწყვიტა შტაპელის ქსოვილის გამოსახარშად ქიმიური ნივთიერება, ქლორამინი ეხმარა. ლაბორატორიაში ჩატარებულმა ცდებმა კარგი შედეგი გამოიღო. წარმოებაში გამოცდის შემდეგ კი ცხადი გახდა, რომ ეს მეთოდი ბევრად ეფექტური იყო ძველთან შედარებით. ამ სიახლის დანერგვით საწარმომ 16 ათასი მანეთის ეკონომია მიიღო.

ნაკლებ ეფექტური არ იყო ნინოს მეორე რაციონალიზატორული წინადადება, რომელიც კაპრონის ქსოვილის გათეთრებისათვის ოპტიკური გამათეთრებელი საშუალებების გამოყენებას ეხებოდა.

ნინო გაბიჩვაძემ შექმნა და დანერგა სასარჩულე ქსოვილის დამუშავების ახალი ტექნოლოგია, რომელიც ბევრად ზრდის პროდუქციის ხარისხს და მის გამძლეობას, ამას კი სასარჩულე ქსოვილისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

30 წელია ნინო გაბიჩვაძე ფაბრიკაში მუშაობს. დღეს მის გვერდით მისი ნამოწაფრები დგანან — ისინი, ვისაც მან შეაყვარა საქმე. ქიმიკოსები ჯულიეტა ბარნაბიშვილი, როზა დვალიშვილი, ლაბორანტები ლამარა კირვალიძე, ვენერა ცარციძე მასთან ერთად ქმნიან ქსოვილთა ღებვისა და დაჩითვის ახალ მეთოდებს, მუშაობენ არსებული ტექნოლოგიის სრულყოფაზე.

ახლახან ნინომ ეგრეთწოდებული დისპერსიული საღებავებით დაჩითული აცეტატური ქსოვილების რეცხვის ახალი რეჟიმი დაამუშავა. ადრინდელი მეთოდით რეცხვისას საღებავი გადადიოდა და ქსოვილზე ლაქები ჩნდებოდა. რაციონალიზატორის მეთოდი წარმოებაში დაინერგა.

— მიხარია, ჩვენი ფაბრიკის გამოშვებულ პროდუქციას რომ აქებენ. ეს ხომ ყველა ჩვენთაგანის წარმატებაა პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და ასორტიმენტის გაფართოება-სრულყოფის საქმეში, — ამბობს ნინო.

და გრძელდება ფიქრი წარმატებების ზრდაზე, ახალ გამოგონებებზე...

ნანული ჭავჭანიძე

## წაუკითხეთ პატარებს

* * *

— ჩვენს ბაღ-ბოსტანს, ტარიელ,
გოჭი შემოეჩვია.
— რატომ არ შეაშინე?
— ჩემოდენა ეშვი აქვს!

### მუხა და კოდალა

— ხეკაკუნა ქენი მადლი,
მომაშორე ჭია-მატლი.
— მუხავ, ისე შემიყვარდი,
მაგას როგორ დაგამადლი!

### ფისოს

შენ დამალე
ჩიტის ბუდე?
ბუტე-ბუტე,
გაგებუტე!

### წუწკი დათვი

ერთმა წუწკმა დათუნამ
ბაღში სკები დაფლითა,
ამოივსო მუცელი
ფიჭითა და თაფლითა.
დაესივნენ ფუტკრები,
ლამის ქურქი გახადეს,
დრუნჩა ისე დაისრეს,
ორჯერ მეტი გახადეს.
ბუნაგში რომ დაბრუნდა,
ოი, საკვირველებავ!
წუწკი დედა-დათუნა
ველარ იცნეს ბელებმა.

### ბატი და მელა

—ბატო, ბატო!
— ყა, ყა, ყა!
— უნდა დაგკლა ამაღამ!
— რატომ, ჩემო მელია?
— ხორცი შემომელია!

ავთანდილ მეგრელიშვილი

### გემის კაპიტანი

ტოლჩა წყლისაც ეშინია,
ძლივს დაბანეს თავი, ტანი...
გაიძახის — „უნდა გავხდე
დიდი გემის კაპიტანი!“

### მზე და ნია

მზეშ ცხრა სხვი,
ოქროს სხივი
დილით მიაბნ-მოაბნია...
სულ პირველი
ცის ნამს ერგო,
მეცხრე — მკვირცხლ და
გამრჯე ნიას...

იმერ ხარაძე

### რა ექიმია

იფ, იფ, რა ექიმია!
რაღას ნახავ უკეთესს,
დათუნიას სიცხე აქვს,
თიკო ნემსებს უკეთებს.
ექიმობის სულ ცოტა
რომ სცოდნოდა წესები,
უნდა გამოეხარშა
საექიმო ნემსები.

ნელი დარსაველიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნეკრესი

ნეკრესი ყვარლის რაიონის სოფელ შილდიდან 7-8 კილომეტრის დაშორებით, კავკასიონის ქედის ულამაზეს განშტოებაზე მდებარეობს. ნეკრესის ხუროთმოძღვრული ანსამბლი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ძეგლია.

წყაროების მიხედვით, ქალაქი ნეკრესი ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდეა დაარსებული. მეორე საუკუნეში „ფარნაჯომ მეფემან უმატა ყოველთა ციხე-ქალაქთა შენება... და იწყო შენებად კახეთის ქალაქსა ნელ-ქარისას, რომელ არს ნეკრესი" (ქართლის ცხოვრება).

ცნობების მიხედვით მომდევნო საუკუნეში ქალაქი ნეკრესი სწრაფად იზრდება. მირიანის მეფობისას მეფის მამა მძუძემ „მოამტკიცნა ზღუდენი ნეკრესის ქალაქისანი". იმავე მირიანის შვილიშვილმა თრდატმა აღაშენა ეკლესია, რომელიც ახლად გაბატონებულ იდეოლოგიას — ქრისტიანობას ემსახურებოდა. სწორედ აქ მდებარეობს IV საუკუნის მინიატურული ბაზილიკა — ერთი ყველაზე უძველესთაგანი საქართველოში.

როგორც მატიანე მოგვითხრობს, ნეკრესის ხუროთმოძღვრული ანსამბლის მშენებლობა და საერთოდ სამონასტრო ცხოვრება დაწინაურებულა VI საუკუნიდან, როდესაც აქ მოღვაწეობას იწყებს ცნობილი ცამეტ სირიელ მამათაგანი,—აბიბოს ნეკრესელი.

აბიბოსის მოღვაწეობის პერიოდში საქართველოში რთული და დაძაბული პოლიტიკური ვითარება იყო. აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონებული ირანელები აიძულებდნენ ქართველებს მათთვის უცხო მაზდეანობა მიეღოთ. აბიბოსი, როგორც მოღვაწე და მამულიშვილი, წინ აღუდგა უცხო მოძალადეებს და საბოლოოდ შეეწირა კიდევაც ამას.

IV საუკუნიდან მოყოლებული ნეკრესში თითქმის არ შეწყვეტილა სამონასტრო ცხოვრება, რომელზეც ზეგავლენას ახდენდა ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური აღზევება-დაცემა. საუკუნეების განმავლობაში აქ იგებოდა როგორც სასულიერო, ისე საერო დანიშნულების ნაგებობები: დიდი სამეკლესიიანი ბაზილიკა VII საუკუნისა, გუმბათიანი ეკლესია VII-IX საუკუნეებისა, საეპისკოპოსო სასახლე — კოშკი XVI საუკუნისა და სხვა.

ხანგრძლივი დროის მანძილზე ნეკრესის ხუროთმოძღვრული ანსამბლი თავისებური სამეცნიერო კერაც იყო, სადაც მოღვაწეობდნენ იმ დროისათვის გამოჩენილი სწავლულები. გვიან, შუასაუკუნეებში ცნობილი იყო ნეკრესის მონასტრის მესვეური დოსითეოზ ჩერქეზიშვილი, რომელსაც პირველდაწყებითი სკოლის დაარსება მიეწერება და რასაც მეფე ერეკლე II მოწიწებით შეხვდა.

მრავალმხრივი იყო აგრეთვე ნეკრესის უკანასკნელი მიტროპოლიტის ამბროსი მიქაძის მოღვაწეობაც, რომელიც ბევრი სერიოზული ნაშრომისა თუ ქადაგების ავტორია.

ისე, როგორც ქართული მატერიალური კულტურის სხვა ძეგლები, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე ნეკრესიც უყურადღებოდ იყო მიტოვებული, მას ბუნების მოვლენები და ადამიანთა გულგრილობა ანადგურებდა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში გახდა შესაძლებელი მისი წარმოჩენა და მეცნიერული შესწავლა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილსა და მის სკოლას.

ნეკრესის ხუროთმოძღვრული ძეგლის მოვლა-პატრონობას, მშრომელთა ესთეტიკური და პატრიოტული აღზრდის კერად მის გადაქცევას განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში მიექცა ყურადღება.

ირ. ზაქარიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კულინარია

## ქალბატონი თამარ სულაქველიძე გვთავაზობს ტკბილეულის რეცეპტებს

### ხართუთის მურაბა

გადარჩეული ერთი კილოგრამი ხართუთა მოათავსეთ შესაფერის ჭურჭელში, მოაყარეთ 500 გრამი შაქრის ფხვნილი და 5-6 საათი გრილ ადგილას გააჩერეთ. წარმოქმნილი წვენი გადაწურეთ მურაბის ტაშტში, დაუმატეთ 500 გრამი შაქრის ფხვნილი, დაასხით $1/2$ ჩაის ჭიქა წყალი, მოხარშეთ სიროფი და შეაგრილეთ. შემდეგ მოათავსეთ შიგ შაქარმოყრილი ხართუთა და ხარშეთ, სანამ მზად არ იქნება.

### გარგარის ნაყინი

გარეცხილ, გამშრალებულ გარგარს ამოაცალეთ კურკა და გახეხეთ თუშფალანგში. დარჩენილ პროდუქტს დაუმატეთ კურკა. დაასხით 2 ჩაის ჭიქა წყალი, აადუღეთ და გაწურეთ. შემდეგ შეურიეთ $1—1^1/_2$ ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი, მოხარშეთ სიროფი და გააცივეთ. გაცივებული სიროფი აურიეთ გარგარის პიურეში, ჩაასხით მაცივრის ყალიბებში და ჩვეულებრივი წესით გააცივეთ.

### ალუბლის სიროფი

ალუბლიდან გამოწურულ 1 ჩაის ჭიქა წვენს შეურიეთ $1^1/_2$ ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი, ადუღეთ 20 წუთი და გადმოდგით ცეცხლიდან.

### ტორტი

2 კვერცხი ჩაისჭიქანახევარ შაქრის ფხვნილთან ერთად კარგად ათქვიფეთ, დაუმატეთ ოთახის ტემპერატურაზე შემდნარი 200 გრამი კარაქი და კვლავ ერთად ათქვიფეთ. შემდეგ შეურიეთ ერთი სუფრის კოვზი კაკაო, ერთი ჩაის ჭიქა მაწონი, ორი ჩაის ჭიქა პურის ფქვილი, რომელშიც ერთი ჩაის კოვზი სოდაა შერეული, მიღებული მასალა მოათავსეთ კარაქწასმულ და ფქვილმოფრქვეულ ყალიბში და ნელ ცეცხლზე გამოაცხვეთ.

მოამზადეთ კრემი: ორი ქილა შესქელებული რძე ქილიანად მოათავსეთ მდუღარეწყლიან ქვაბში და ადუღეთ ორნახევარი საათი, შემდეგ ამოიღეთ წყლიდან და გააცივეთ. გაცივებული ქილები გახსენით, გადმოიღეთ შესქელებული რძე, შეურიეთ ვანილინი (გემოვნებით), კარგად ათქვეფილი 200 გრამი კარაქი და კვლავ კარგად ათქვიფეთ.

გამომცხვარი და შეგრილებული ნამცხვარი ორ ფენად გაჭერით. თითოეულ ფენას წაუსვით წინასწარ გამზადებული კრემი, შეაერთეთ ე. ი. მიეცით მთლიანი ტორტის სახე. ტორტის ზედაპირზე და გვერდებზე იგივე კრემი წაუსვით. ზედა ფენა მორთეთ ხენდროთი, მარწყვით, მოცხარით, შუაზე გაჭრილი გარგარით ან გოფრირებული დანით გაჭრილი ატმით (აღნიშნულის მაგიერ შეგიძლიათ გამოიყენოთ მურაბა), ხილი და კენკრა ერთიმეორის გვერდით ისე უნდა დაალაგოთ, რომ მათ შორის ცოტა ადგილი დარჩეს.

მორჩენილი კრემი სპეციალურ ხელსაწყოში მოათავსეთ და კრემის ზიგზაგებრივი ზოლებით შემოფარგლეთ ხილ-კენკრის შორის დარჩენილი თავისუფალი სივრცე. ასევე მორთეთ ტორტის კიდეები.

### ღვეზელი ვაშლით

მრგვალ თუნუქის ყალიბს წაუსვით ცხიმი (კარაქი, მარგარინი ან ერბო), მოაყარეთ დანაყილი, გაცრილი ორცხობილა. მოაწყვეთ ზედ გათლილი და ბრტყელ ნაჭრებად დაჭრილი ანტონოვკის ჯიშის ვაშლი (2 ცალი) და კვლავ მოაყარეთ გაცრილი ტკბილი ორცხობილა.

ოთხი კვერცხის ცილა სათქვეფელით ისე ათქვიფეთ, რომ მკვრივი ქაფისებური მასა მიიღოთ. შემდეგ თანდათანობით ჩაუმატეთ შაქრის ფხვნილი ($1—1^1/_2$ ჩაის ჭიქა) და თან შეუწყვეტლივ თქვიფეთ. შემდეგ სათითაოდ დაუმატეთ კვერცხის გული და კვლავ განუწყვეტლივ თქვიფეთ. ამის შემდეგ, თანდათანობით, მხოლოდ სწრაფად, კოვზით შეურიეთ ნახევარი ჩაის კოვზი სოდანარევი ერთი ჩაის ჭიქა პურის ფქვილი. მიღებული მასალა მოაქციეთ გამზადებულ ყალიბში და გამოაცხვეთ ზომიერი სიმხურვალის ცეცხლზე. გამომცხვარ ნამცხვარს, თუ გსურთ, მოაყარეთ შაქრის ფქვილი.

### ალუბლიანი ღვეზელი

2 კვერცხი და 1 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი კარგად ათქვიფეთ. დაუმატეთ კარგად აზელილი 200 გრამი კარაქი და კვლავ ათქვიფეთ. შემდეგ შეურიეთ ერთი ქილა არაჟანი (200 გრამი), იმდენი პურის ფქვილი (ამ ფქვილში ერთი ჩაის კოვზი სოდა უნდა იყოს არეული), რომ ცომი სქელი არაჟნის სისქის მივიღოთ. ყალიბს წაუსვით კარაქი, მოაყარეთ დანაყილი, გაცრილი ორცხობილა, მოათავსეთ შიგ ცომი და ზემოდან თქვენს გემოზე მოაყარეთ საკმაოდ ბევრი დაჩურჩული ალუბალი და ნელ ცეცხლზე გამოაცხვეთ.

ალუბალი შემდეგნაირად მზადდება: დაჩურჩეთ ალუბალი, მოაყარეთ შაქრის ფხვნილი ან შაქრის ფქვილი (თქვენს გემოზე) და რამდენიმე ხანს გააჩერეთ. როცა წვენს გამოყოფს, წვენი გადაწურეთ (სხვა რამისათვის გამოიყენეთ), ალუბალი კი ყალიბში მოთავსებულ ცომს დააყარეთ. სჯობს ასე მოიქცეთ: წვენმოცილებულ ალუბალს მოაყარეთ სამტკიცში გაცრილი დანაყილი ტკბილი ორცხობილა, აურიეთ და შემდეგ დააყარეთ ყალიბში მოთავსებულ ცომს.

შეგიძლიათ აგრეთვე გამოიყენოთ უწვენო, დაჩურჩული ალუბლის მურაბა.

გარეკანის პირველ გვერდზე — ნიკო ფიროსმანაშვილი — „კალოობა“; მეოთხე გვერდზე — ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ნაფიჩხოვოს მარქსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე რ. გოგუა და ორდენოსანი მეჩაიე სულიკო დარასელია ჩაის პლანტაციაში. ვ. გენგიურის ფოტო.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი)

ტექრედაქტორი ნ. ბ უ კ ი ა

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, № რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 7/VI-78 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/VII-78 წ., ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/_3$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,8 ტირაჟი 126.000. შეკვ. 666 უე 08671 ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# პლაჟის კაბები ყველა ასაკის ქალისათვის

1. საზაფხულო კომბინირებული სარაფანი — წელში გადაჭრილია, ქვედა კაბა სამნაწილიანია, ირიბად აჭრილი, კაბას ამშვენებს ფერადი თამასა.

2. ჩითის ქსოვილის წელში გადაჭრილი საზაფხულო სარაფანი, — გაწყობილია კანტებით და მაქმანით, გვერდის ნაკერებში ჩაყოლებულია ჯიბეები. ქვედა კაბის ნაწილები ირიბად აჭრილი და ნაოჭაყრილია.

3. აბრეშუმის ქსოვილის სარაფანი პლაჟისთვის — გულისპირი ანაოჭებულია. ქვედა კაბა ორნაწილიანია — ირიბად აჭრილი და ნაოჭაყრილი.

4. ჩითის ქსოვილის საზაფხულო კაბა — წელში გადაჭრილი, მიკერებულ განიერ სახელოებიანი. ქვედა კაბა რვანაჭრიანია. კაბა გაწყობილია ფერადი თამასით.

5. კომპლექტი პლაჟისთვის. გრძელი ქვედა კაბა ირიბადაა აჭრილი და ახლავს ვიწრო, გამოკერილი ნაკეცები.

6. საზაფხულო სარაფანი პლაჟისთვის — ღრმად ამოღებული და ირიბად აჭრილი გულისპირი; ქვედა კაბის წინა კალთა ანაოჭებულია.

მოდელების ავტორები — მხატვრები
**ნანა ცქვიტაია და**
**ეთერ შარაბიძე**

647/125



ИНДЕКС 76178